პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ოთშაბათი, 9 დეკემბერი 1935 წ. № 283 (4439)

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორდენოსანმა საქართველომ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა მანდარინის დამზადების გეგმა. 8 დეკემბრისათვის დამზადებულია 158.919.000 ცალი მანდარინი გეგმით გათვალისწინებულ 150 მილიონ ცალის ნაცვლად. შესრულება უდრის 105,9 პროცენტს.

ერთეული კომუნისტები

ამხანაგმა სტალინმა XVII პარტიულ ყრილობაზე ამოცანად დაგვისახა: გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა და გავსწიოთ ლენინიზმის დაუღალავი პროპაგანდა, პარტიის ირგვლივ დავრაზმოთ უპარტიო აქტივი, მივაღწიოთ იმას, რომ ორგანიზაციული ხელმძღვანელობა ხავსებით უზრუნველჰყოფდეს პარტიის პოლიტიკური ლოზუნგებისა და გადაწყვეტილებების ცხოვრებაში მტკიცედ გატარებას.

პარტია მტკიცედ დაირაზმა ბელადის მითითების განუხრელად განხორციელებისათვის, პარტიულ მუშაობას ბოლშევიკური გაქანება მიეცა. გაიზარდა კომუნისტთა აქტივობა, მათი ავანგარდული როლი და პასუხისმგებლობა. კიდევ უფრო განმტკიცდა პარტიული დისციპლინა.

კადრების მზრუნველობით გამოზრდის შესახებ ბელადის მითითების შემდეგ პირველადმა პარტორგანიზაციებმა და კომიტეტებმა განსაკუთრებული სერიოზულობით მოჰკიდეს ხელი თვითეულ კომუნისტთან მუშაობას, პარტიის ყველა რგოლში მუშაობის არსებითად გარდაქმნას.

ერთეული კომუნისტებიც არ დარჩენილან ყურადღების გარეთ. რაიკომები და გამსვლელი ინსტრუქტორები, აგიტატორები და პროპაგანდისტები, ერთეულ კომუნისტებთან ახლა უკეთესად მუშაობენ, კონკრეტულად ეხმარებიან მათ იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაში, აძლევენ დავალებებს და ამოწმებენ მათ შესრულებას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აქ ყველაფერი რიგზე იყოს.

თვითეულ რაიონში რამოდენიმე ათეული ერთეული კომუნისტია. მათთან მუშაობა ჩვენი გადაუდებელი და სერიოზული მნიშვნელობის ამოცანაა.

თელავის, ცხაკაიას, გურჯაანის, დუშეთის და ბევრ სხვა რაიონების მაგალითიდან ჩანს, რომ ზოგან ერთეული კომუნისტები მოსწყდნენ პარტიულ ცხოვრებას, მათ სისტემატიურად არ ეძლევათ პარტდავალებები, ხოლო ზოგიერთნი ამ დავალებებს არც ასრულებენ.

დაბალია ერთეულთა იდეურ-თეორიული და საერთო მომზადების დონე. არიან ისეთებიც, რომელთაც პარტიის წესდება და პროგრამაც კი არა აქვთ კარგად შეთვისებული, სუსტად ერკვევიან პარტიული მშენებლობისა და მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში.

მართალია, რაიკომების გამსვლელი ინსტრუქტორები თავიანთ ზონებში აწყობენ ერთეული კომუნისტების თათბირებს, აძლევენ დავალებებს, ამეცადინებენ ინდივიდუალურად და პოლიტსკოლებში, მაგრამ ეს არ კმარა. ამ საქმეს რაიკომებმა უშუალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი და ერთეულებიც დარაზმონ, როგორც მოწინავე მებრძოლნი, იმ უბანზე, სადაც ისინი მუშაობენ.

პარტიის წესდება თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს პარტიული დისციპლინის მტკიცედ დაცვას, ჩვენი ქვეყნისა და პარტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, პარტიის პოლიტიკისა და პარტიულ ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებას, ვითეული კომუნისტის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას და ჰორიზონტის გაფართოებას, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შეთვისებასა და უპარტიო მშრომელი მასისათვის პარტიულ გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებას. თვითეულმა კომუნისტმა უნდა აამაღლოს თავისი საწარმოო კვალიფიკაცია.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის კადრების მზრუნველობით გამოზრდას. ჩვენი პარტორგანიზაციები, რაიკომები ვალდებულნი არიან უფრო მეტი მონდომებით და მეტი დაკვირვებით იმუშაონ თვითეულ კომუნისტთან, იმ ერთეულებთანაც, ათეული და ოცეული კილომეტრის მანძილზე რომ არიან დაფანტული.

საფუძვლიანად და ყოველმხრივ შევისწავლოთ ერთეულ კომუნისტთა მუშაობის პირობები, აქტიურად ჩავაბათ ერთეული კომუნისტებიც პარტიულ ცხოვრებასა და მუშაობაში, სისტემატურად ვაძლიოთ მათ კონკრეტული დავალებები და მოვაწყოთ შესრულების შემოწმება, ჩავაბათ პოლიტსწავლებაში, კერძოდ პარტიის ისტორიისა და წესდების შესწავლაში, გავაფართოოთ მათი ჰორიზონტი,—ასეთია ჩვენი გადაუდებელი ამოცანა.

რაიკომებმა უნდა მოაწყონ ერთეული კომუნისტების კრებები არა მარტო საინსტრუქტორო ზონებში, არამედ დროგამოშვებით რაიონის მასშტაბითაც. რაიკომის ბიურო უნდა ისმენდეს აგრეთვე ერთეულ კომუნისტების თვითანგარიშებს და თვითეულს აძლევდეს გარკვეულ მითითებებს.

ცოცხალ და კონკრეტულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას განსაკუთრებით საჭიროებენ ერთეული კომუნისტები. რაიკომებმა, ინსტრუქტორებმა და პროპაგანდისტებმა მეტი მზრუნველობა და დახმარება უნდა გაუწიონ მათ.

ერთეული კომუნისტი არ უნდა გრძნობდეს თავს ერთეულად, პარტიის რკინის რიგებს მოწყვეტილად, პარტიულ ხელმძღვანელობას მოკლებულად. თვითეული კომუნისტი უნდა მტკიცედ ასრულებდეს ავანგარდულ როლს სოციალისტურ ფაბრიკაში, ქარხანაში, საკოლმეურნეო წარმოებაში—სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ის ბოლშევიკურად, შეუპოვრად უნდა იბრძოდეს პარტიის პოლიტიკის გატარებისათვის. ცხადია, ერთეული კომუნისტი ვერ შეასრულებს ამ ამოცანას, თუ არ იქნა განხორციელებული მისდამი სისტემატიური პარტიული ხელმძღვანელობა.

ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა რაიკომებისა და პარტკომების საბრძოლო ამოცანაა!

საქართველოს საუკეთესო ტრაქტორისტები მოსკოვს მიემგზავრებიან

ამ დღეებში მოსკოვს, მოწინავე ტრაქტორისტთა საკავშირო ყრილობაზე, მიემგზავრება საქართველოს ხუთი საუკეთესო ტრაქტორისტი — ამხ-ბი: **ხატიაშვილი, არსენ მოხევე, გრიგოლაშვილი, ლევან რუსიაშვილი და შაქრო გურაშვილი.**

ტრაქტორისტმა **ხატიაშვილმა,** რომელიც მუშაობს წნორის მტს-ში (სიღნაღის რაიონი), ა.-წ. მარტიდან მოხნა 489 ჰექტარი, გამოიმუშავა 523 შრომადღე, გააკეთა 944 კილოგრამი საწვავის ეკონომია.

ამავე მტს-ის ტრაქტორისტმა **შაქრო გურაშვილმა** 1935 წლის განმავლობაში მოხნა 509 ჰექტარი. გააკეთა ერთი ტონა საწვავის ეკონომია, გამოიმუშავა 560-ზე მეტი შრომადღე.

ულიანოვკის მტს-ის (სიღნაღის რაიონი) ტრაქტორისტმა **არსენ მოხევემ** მოხნა 552 ჰექტარი, გააკეთა 538 კილოგრამი საწვავის ეკონომია. გამოიმუშავა 618 შრომადღე.

ტრაქტორისტი **გრიგოლაშვილი** მუშაობს ლაგოდეხის **მტს-ში.** მან 1935 წლის განამვლობაში მოხნა 945 ჰექტარი და გამოიმუშავა 1.197 შრომადღე.

ტრაქტორისტი **ლევან რუსიაშვილი** მუშაობს აგარის მტს-ში. წელს მან მოხნა 500 ჰექტარზე მეტი და გააკეთა 860 კილოგრამი საწვავის ეკონომია.

o

მოსკოვს გამგზავრების წინ საქართველოს საუკეთესო ტრაქტორისტებს საუბარი ჰქონდათ საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარ ამხ. **მათიკაშვილთან.** რომელსაც წარუდგინეს პატაკი თავის მუშაობაზე და გააცნეს მათი მუშაობის მეთოდები, რომელთა შემწეობით ხვნაში სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს.

ლაგოდეხის **მტს-ის** ტრაქტორისტი გიორგი გრიგოლაშვილი ამბობს: ჩემს მიერ მოხნული 945 ჰექტარი ფაქტიურად ექვსნახევარ თვეს გამოვიმუშავე, რადგან წელს ბევრი წვიმიანი, ავდრიანი დღე იყო. ასეთი ნორმა სრულიადაც არ არის გადაულახავი ზღვარი, კიდევ მეტის მოხვნა შეიძლება. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ტრაქტორის შეუფერხებელ მუშაობას მივაღწიოთ.

□ □ □

ჩაის მეოთხე კვარტალის სამუშაოთა გეგმების შესრულება

მიწსახკომის 5 დეკემბრის ცნობებით

რაიონები	ნიადაგის მომზადება		პლანტაციების კაპიტალური რემონტი		მიმდინარე რემონტი		საზამთრო გადაბარვა		ფოსფორიტ-სასუქის შეტანა	
	ჰექტ.	პროც.	ჰექტ.	პროც.	ჰექტ.	პროც.	ჰექტ.	პროც.	ჰექტ.	პროც.
ბათომის	79	92,9	0	0	10	20	116	27,2	49	10
ქობულეთის	137	94,4	—	—	52	47,2	740	92,5	293	36,6
გალის	55	55	141	97,2	209	87	792	63,3	782	62,5
ოჩამჩირის	72	72	70	60,8	11	13,7	452	69,5	394	60,6
სოხუმის	0	0	—	—	—	—	—	—	—	—
გუდაუთის	8	17,7	—	—	—	—	—	—	—	—
მახარაძის	150	100	4	4	46	[illegible]	693	29,6	481	20,5
ჩოხატაურის	19	34,5	5	7,1	4	3,8	182	26	182	26
ლანჩხუთის	85	106,2	9	25	49	39,5	966	74,7	757	61,5
ხონის	300	315,7	31	114,8	118	147,5	547	182,3	300	100
ცხაკაიას	48	[illegible]	6	13	10	[illegible]	321	64,2	244	69,4
მარტვილის	142	18,3	129	129	133	110,8	721	96,1	685	35,8
ზუგდიდის	90	78,2	[illegible]	49,6	331	41,1	1.249	89,	1.198	35,5
წალენჯიხის	85	106,7	0	[illegible]	4	3,4	381	40	362	34,1
ჩხოროწყუს	190	105,5	0	0	0	0	254	46,6	239	43,8
ხობის	53	[illegible]	12	40	18	25,7	172	74,7	106	46
ქუთაისის	215	110,2	12	[illegible]	158	158	155	103,3	155	[illegible]
სამტრედიის	—	—	0	0	13	28,2	141	[illegible]	125	69,4
ს უ ლ	1728	[illegible]	621	50,9	1.166	49,8	[illegible]	63,2	6.645	51,4

o o o

როგორც ვხედავთ, ჩაის ნიადაგის მომზადების რესპუბლიკური გეგმა მთლიანად შესრულებულია 101,6 პროცენტით. მაგრამ არიან რაიონები, რომლებიც გეგმის შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. ამჟამად ასეთებია: **ზუგდიდის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, გუდაუთის, ოჩამჩირის და გალის რაიონები.**

იტალია-აბისინიის ომი

პოლონეთის ეკონომიური მდგომარეობა

ვარშავა, 7 დეკემბერი. გუშინ გაიმართა სეიმის საბიუჯეტო სესიის პირველი სხდომა. ვიცე-პრემიერმა კვიატკოვსკიმ აღნიშნა, 1930 წლიდან დაწყებული მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე დეფიციტმა 1 მილიარდ 140 მილიონ ზლოტის მიაღწია. ჩვენ ისეთ მდგომარეობამდე მივედით, — განაცხადა კვიატკოვსკიმ, — რომლის დროსაც ესოდენ საგრძნობი დეფიციტის შემდგომი არსებობა შეუწყნარებელი ხდება. შემდეგ კვიატკოვსკიმ სტატისტიკური ცნობების მიხედვით დაასურათა სოფლის მეურნეობის კატასტროფული მდგომარეობა. სოფლის მეურნეობაში კრიზისის შედეგებს, — განაცხადა კვიატკოვსკიმ, — ართულებს ის გარემოება, რომ გლეხურ მეურნეობათა 34 პროცენტი — ეს კარლიკური მეურნეობებია, ხოლო 31 პროცენტი — მცირემიწიანი. „მოსახლეობის ეს დიდი ნაწილი, რომელიც 10 მილიონ კაცს შეადგენს, — სთქვა კვიატკოვსკიმ, — მეურნეობრივად სავსებით პასიურია. მე-20 საუკუნის პოლონეთის სოფელი თითქმის ნატურალურ მეურნეობას დაუბრუნდა. ბევრ ფაქტსა და მოვლენას, რომლებმაც პირველყოფილ მდგომარეობამდე შეავიწროვეს პოლონეთის სოფლის ცხოვრება, არ შეეძლო დიდი გავლენა არ მოეხდინა სახელმწიფოს მთელ ეკონომიურ წყობაზე, იმ სახელმწიფოს წყობაზე, რომლის მოსახლეობის ორი მესამედი სოფლის მეურნეობას მისდევს“.

შეხო რა ფინანსებს, კვიატკოვსკიმ აღნიშნა, რომ, 1928 წელთან შედარებით, ფულის ტრიალი პოლონეთში 350 მილიონ ზლოტით შემცირდა, შინაური დავალიანება 3 მილიონი ზლოტიდან (1928 წელს) 1 მილიარდ 350 მილიონ ზლოტამდე ავიდა, საგარეო დავალიანება 3 მილიარდ 350 მილიონ ზლოტს აღწევს. „ვწყვეტთ რა დავალიანების შემცირების საკითხს, — განაცხადა კვიატკოვსკიმ, — ჩვენ ვარღვევთ კრედიტის საფუძვლებს. როცა კრედიტს ვიცავთ, ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ გაკოტრების მრავალ შემთხვევას. როცა ეკონომიის გზით ბიუჯეტის წონასწორობას ვიცავთ, ამით ლახვარს ვცემთ წარმოებას და მოხმარებას ბაზრის შიგნით. ვინარჩუნებთ რა დეფიციტს, საფრთხეს ვუქმნით ჩვენი ვალუტის სიმტკიცეს. ამ დიდი სიძნელეების მიუხედავად, კვიატკოვსკი ფიქრობს, რომ მთავრობის მიერ განსაკუთრებულ რწმუნებათა საფუძველზე გატარებული ღონისძიებანი, „საფუძვლიანს გვაძლევენ ვიქონიოთ პოლონეთის სამეურნეო ცხოვრების თანდათანობითი გაჯანსაღების იმედი“. (ადს).

ადის-აბება. 7 დეკემბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ იტალიის 9 მძიმე ყუმბარმზიდმა ყუმბარები დაუშინა იმპერატორის მთავარ ბინას დესიში. დაინგრა ამერიკელთა ჰოსპიტალი. დაჭრილია 25 კაცი.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, აბისინიის ჯარების ოპერაციები სამხრეთის ფრონტზე წარმატებით ვითარდება. გუშინ ავტორიტეტულ წრეებში ადასტურებდნენ, რომ რას დესტამ გადალახა იტალიის სომალის საზღვარი.

როგორც იუწყებიან, პატარა სოფლების რაიონში, მდინარე დავას გასწვრივ, და აქსუმას რაიონში (100 კილომეტრი რადიუსით) სწარმოებს ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები. აბისინელები მიზნად ისახავენ გარს-შემოერტყან იტალიის ჯარების ცენტრალურ ჯგუფს და გაანადგურონ ისინი. იტალიელები ცდილობენ იმოქმედონ კლასიკური სამხედრო ოპერაციების გეგმის საფუძველზე. გამოასწორონ ფრონტები და გაამაგრონ ადგილმდებარეობა. ამავე დროს მთის ვიწრო გასასვლელები კი არ აკავშირებენ, არამედ აცალკევებენ იტალიის ჯარებს.

ლონდონი, 7 დეკემბერი: „დეილი ექსპრესის“ გადმოცემით, იტალიის თვითმფრინავების მიერ დესისათვის ყუმბარების დაშენის შედეგად მოკლულია 63 კაცი და დაიჭრა რამდენიმე ასეული კაცი. დამატებითი ცნობების თანახმად, დესიში მოკლულია 32 და დაიჭრა 200 კაცი. დაჭრილებს შორის არიან ფრანგი და ამერიკელი ჟურნალისტები. ყველა ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამერიკელთა ჰოსპიტალს, რომელზედაც გარკვევით მოსჩანდა წითელი ჯვრის ნიშანი და ამერიკის შეერთებული შტატების ბაირაღი განზრახ დაუშინეს ყუმბარები.

დესიში გაემგზავრნენ ინგლისის სამხედრო ატაშე ადის-აბებაში და პოლკოვნიკი ხოლტი.

ოფიციალურ ცნობაში, რომელიც დღეს ადის-აბებაში გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„უნდა ვიკითხოთ: ხომ არ შეიძლება შევაჩეროთ თავდასხმები იმ პუნქტებისათვის ყუმბარების დასაშენად, რომლებიც ფრონტის უკან მდებარეობენ და რომლებსაც არ იცავენ ჯარისკაცები, ეკონომიური სანქციების გაფართოების გზით, განსაკუთრებით კი ნავთის ემბარგო', შემოღების გზით“. ბრიტიშ იუნაიტედ პრესის კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიის თვითმფრინავები ხელახლა დაესხნენ თავს დესის.

პარიზი, 7 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო', ცნობებით, იტალიის ავიაციის მიერ დესისათვის ყუმბარების დაშენის დროს დაიჭრა ჰავასის სპეციალური კორესპონდენტი გუიონი. დოლოს მახლობლად, ტიგრეს პროვინციაში მოხდა სერიოზული შეტაკება (ადს).

„გერმანიაში მდგომარეობა სერიოზულია“

ბერლინი, 7 დეკემბერი. გუშინ ჰამბურგში გამოვიდა გერინგი, ხოლო ლაიპციგში — ლეი, რომლებმაც წარმოსთქვეს სიტყვები. ეს სიტყვები გარკვეულად გამოხატავდნენ იმ ნერვიულობას, რომელიც გაჰფენილია მმართველ ზედა ფენებში. ლეიმ გერმანია შეადარა „ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეს“ და აღიარა „გერმანიაში მდგომარეობა ძალიან სერიოზულია“. გერინგმა პირადპირ განაცხადა: „სურსათის სიძნელეები აუცილებელია“. დასასრულ გერინგმა მკაცრად გაილაშქრა გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ და ამასთან აღიარა, რომ იგი იატაკქვეშეთიდან განაგრძობს ენერგიულ პროპაგანდას“.

ბერლინი, 7 დეკემბერი. გერლინგენში ნაციონალ-სოციალისტთა კრებაზე გამოვიდა ვიურტემბერგის საგარეო საქმეთა მინისტრი შმიდტი. რომელმაც სასტიკად გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, ვინც „სურსათის მარაგს აკეთებს“. შმიდტმა განაცხადა, ასეთი პირები არ არიან ღირსნი ატარონ გერმანელის სახელი და დაემუქრა, დაუყოვნებლივ გავგზავნით დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში (ადს).

□

არავითარი შერიგება მუშათა კლასის მტრებთან!

პარიზი, 7 დეკემბერი. გუშინ დეპუტატთა პალატაში შეიარაღებულ ნახევრად სამხედრო ლიგების დაშლის კანონპროექტის განხილვის დროს კომუნისტმა ტორეზმა ამხილა ფაშისტ დეპუტატთა თვალთმაქცობა. ტორეზმა განაცხადა, რომ „შერიგების“ მათ თვალთმაქცურ ჟესტს, რაც გამოიხატა განაარაღების „მზადყოფნაში“, ისინი თვითონ ამჟღავნებენ ახლა, როგორც კი პალატა შეუდგა შეიარაღებული ფაშისტური ლიგების დაშლის საკითხის განხილვას.

— არავითარი შერიგება არ შეიძლება მოხდეს მუშათა კლასის წარმომადგენლებსა და იმათ შორის, ვისი ხელიც მუშის სისხლშია გასვრილი, — განაცხადა ტორეზმა. კომუნისტები, რომლებსაც სრულიადაც საკმარისად არ მიაჩნიათ პალატაში წარდგენილი კანონპროექტები, მაინც მისცემენ ხმას ამ კანონპროექტებს, ვინაიდან ისინი მიმართულია შეიარაღებული ლიგების წინააღმდეგ. (ადს).

„მებრძოლი ჯვრები“ ემზადებიან პარიზზე გასალაშქრებლად

პარიზი, 7 დეკემბერი. როგორც „ლუმანიტე“ იუწყება, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსალოდნელია ფაშისტების ლაშქრობა პარიზზე. „მებრძოლი ჯვრები“ გამზადებულ არიან საბრძოლველად. ფაშისტი ბელადები დაიარებიან სახელმწიფოს დეპარტამენტებში, რათა დაიყოლიონ თავიანთი მერყევი მომხრეები. ფაშისტები აწარმოებენ ავტომობილებისა და საბარგულების აღრიცხვას. „ლუმანიტე“ მოუწოდებს მუშებს მოაწყონ გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევა ფაშიზმისათვის. (ადს).

□ □ □

ნანკინის ახალი მთავრობა

შანხაი, 7 დეკემბერი. საქმის ვითარების მცოდნე წრეებში მიღებული ცნობების მიხედვით, გომინდანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმის დღევანდელ სხდომაზე ამოირჩიეს ნანკინის მთავრობისა და გომინდანის უმაღლესი ორგანოების ახალი შემადგენლობა.

ჩან კაი-ში აირჩიეს აღმასრულებელი იუანის თავმჯდომარედ (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), სუნ ფო საკანონმდებლო იუანის თავმჯდომარედ; იუ იუ-ჟენი — საკონტროლო იუანის თავმჯდომარედ და ჩჟუ ჩჟენ-იური-დიული იუანის თავმჯდომარედ.

გომინდანის პოლიტბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს სამხრეთ-დასავლეთი დაჯგუფების უდიდესი ლიდერი ხუ ხან-მინი, ხოლო ნანკინის მთავრობის ცენტრალური პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარედ — ვან ძინ-ვეი. გომინდანის პოლიტბიუროს შემადგენლობაში შეყვანილია აგრეთვე ფინ იუი-სიანი (ადს).

საბჭოთა კავშირში

საკოლმეურნეო სოფელი უპასუხებს ბელადის სიტყვას

მოსკოვი, 7 დეკემბერი, საკოლმეურნეო სოფელში ენტუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია ამხანაგი სტალინის მიერ მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა თათბირზე წარმოთქმულმა სიტყვამ. ტრაქტორისტები და კომბაინერები, მტს-ის და საბჭოთა მეურნეობის მუშები, კოლმეურნენი და კოლმეურნე ქალები კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს სტალინური მოსავლისათვის, 7—8 მილიარდი ფუთი პურისათვის ბრძოლაში.

ყირიმში დასმულია ამოცანა, — უკვე მომავალ წელს აიღონ ჰექტარზე 90—100 ფუთი მარცვლეული. კოლმეურნეობებმა „აღმოსავლეთმა“ (ბიიუკონლარის რაიონი) და ოქტომბრის 16 წლისთავის სახელობისამ (სეითლარის რაიონი) გადაწყვიტეს თავის პრაქტიკაში პირველად განახორციელონ მინდვრად თოვლის დაკავება და მინდვრად პატივი გაიტანონ. წელს ამ კოლმეურნეობებმა, ჰექტარზე 15—16 ცენტნერი მარცვლეული აიღეს, ხოლო ახლა, ისევე როგორც ბევრმა სხვამ, გადასწყვიტეს მოსავლიანობა ჰექტარზე 20—24 ცენტნერამდე აიყვანონ.

დნეპროპეტროვსკის ოლქი ამოცანად ისახავს უკვე 1936 წელს აიღოს, სულ უკანასკნელი, 250 მილიონი ფუთი პური ნაცვლად წლევანდელი 160 მილიონისა და 2-3 წლიწადში გააორკეცოს მარცვლეულის პროდუქცია.

პურის მოსავლიანობის სწრაფი ზრდისთვის იბრძვიან ხარკოვის ოლქის კოლმეურნეობები, რომლებიც მარცვლეულის საშუალო მოსავლის მხრივ წელს მთელ უკრაინაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ.

დიდი აღფრთოვანებით იხილავენ კოლმეურნეობებსა და **მტს**-ებში ამხ. სტალინის მიერ მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვას.

შტეინგარდტის რაიონის (აზოვ-შავიზღვის მხარე) 23 საუკეთესო კომბაინერმა წერილით მიმართა მხარის ყველა კომბაინერს. ისინი კისრულობენ 1936-წელს თითო კომბაინით საშუალოდ 800 ჰექტარზე აიღონ მოსავალი და მოუწოდებენ მხარის ყველა კომბაინერს, მიბაძონ მათს მაგალითს.

ხატაევიჩის სახელობის (ზაპოროჟიე) **მტს**-ის კომბაინერები ზავადსკი, ჩობოტა, სემენიჩენკო და სხვები, რომელთაც წელს გადაჭარბებით შეასრულეს მოსავლის აღების ნორმა, მომავალი წლისათვის კისრულობენ ისე ისწავლონ საქმე, შეისწავლონ თავისი მანქანები, რომ ერთიორად გადააჭარბონ ახალ ნორმას და დაეხმარონ თავის ამხანაგებს შრომის სტახანოვური მეთოდის ათვისებაში.

ორენბურგის რაიონის არტელ „ლენინსკი პუტის“ კოლმეურნეებმა წელს ჰექტარზე 9 ცენტნერი მარცვლეული აიღეს.

კოლმეურნეებმა ამხანაგი სტალინის სიტყვიდან პრაქტიკული დასკვნა გამოიტანეს, მათ იკისრეს ვალდებულება — ფართოდ გაშალონ ზამთარში აგროტექნიკური სწავლება, გაატარონ მინდვრად თოვლის დაკავება და მიაღწიონ ჰექტარზე, სულ უკანასკნელი, 11 ცენტნერი მოსავლის მიღებას. (ადს).

ვერცხლის გამოდნობა

მოსკოვი, 7 დეკემბერი. ფერადი ლითონის მთავარ სამმართველოს უფროსი ამხ. ზახმურადოვი მოახსენებს მძიმე მრეწველობის სახკომს ამხ. ს. ორჯონიკიძეს, რომ 5 დეკემბრისთვის ვერცხლის გამოდნობის წლიური გეგმა მთელი ფერადი ლითონის სამმართველომ მთლიანად შეასრულა.

1935 წლის ვერცხლის გამოდნობა შარშანდელ გამოდნობას 33 პროცენტით სჭარბობს.

ამხ. ზახმურადოვი გარანტიას იძლევა, რომ 1936 წელს ვერცხლის მოპოვება 40 პროცენტით გადააჭარბებს წლევანდელს (ადს).

უხმაურო ვენტილატორი

მოსკოვი, 7 დეკემბერი. ხარკოვის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ გამოუშვა მაგიდისა და კედლის ელექტრო ვენტილატორები და ვიბრატორები რკინიგზის რბილი ვაგონებისთვის. ვენტილატორები უნაკლოა. ფრთები და დასაცავი ბადე ბრინჯაოსი აქვს. ვიბრატორები ნიკელირებულია.

ვენტილატორები და ვიბრატორები უხმაუროდ მუშაობენ (ადს).

მერქნის დახერხის მსოფლიო რეკორდი

არხანგელსკი, 7 დეკემბერი. ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა პერმილოვის სატყეო ქარხნის (პლესეცკის რაიონი) მეხერხემ კომკავშირელმა ანტონოვმა.

5 დეკემბერს, 7 საათში მან დახერხა 357,2 კუბური მეტრი მერქანი. ამგვარად გადააჭარბა მეხერხე მუსინსკისა და რუშკოს მაჩვენებლებს (ადს).



ჯუღელის ფერომარგანეცის სტახანოველი ამხ. ვ. სალაძე

1936 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით პირუტყვის აღწერის შესახებ

სსრ კ-ის სახკომსაბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს ჩაატაროს სსრ კავშირის სასოფლო და საქალაქო ადგილებში, შორეულ ჩრდილოეთის რაიონების გამოკლებით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრების, თხების, ღორების, ცხენების, ჯორების სახედრების, აქლემების და ყველა სამეურნეო (გამოტოვებულია), აგრეთვე ფუტკრის სკების (ოჯახების) საკავშირო აღწერა ყველა კოლმეურნეობაში, სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობებში 1936 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს ჩაატაროს აღწერის მონაცემთა მასობრივი საკონტროლო შემოწმება და გაავრცელოს იგი კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებს 10 პროცენტზე.

2. დაევალოს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხარეო (საოლქო) და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, აგრეთვე ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილთა საბჭოებს:

ა) გაშალონ მოსახლეობის შორის ახსნა განმარტებითი მუშაობა პირუტყვის მომავალი აღწერის მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ.

ბ) უზრუნველჰყონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოები შემოწმებულ და მომზადებულ მუშაკთა საჭირო რაოდენობით აღწერის ჩასატარებლად, ამასთან ნება დართონ გამოიყენონ ამ მიზნისათვის აგრეთვე მასწავლებლები და უმაღლეს სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტები.

დ) უზრუნველჰყონ აღწერის მუშაკები რაიონების შიგნით მიმოსვლის საშუალებები.

3. დაევალოს მიწათმოქმედების, მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, აგრეთვე სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც მეცხოველეობის მეურნეობები აქვთ, საბჭოთა მეურნეობების, მუშათა მომარაგების განყოფილებათა მეურნეობების და კოოპმეურნეობების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს აღწერის დაწყების მომენტისათვის დაამთავრონ პირუტყვის ინვენტარიზაცია 1936 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით და მოამზადონ ცნობები პირუტყვის სულადობის რიცხვის, მოზარდი პირუტყვის გამოზრდის და ჯოგის ბრუნვის 1935 წლის გეგმის შესრულების შესახებ.

4 დაევალოს პირუტმზადების რაიონულ კანტორებს 1935 წლის 20 დეკემბრისათვის წარუდგინონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიონულ ინსპექტორებს შემოწმებული ცნობები ხორცის დამზადების გეგმის შესრულების შესახებ.

5. დაევალოს იმ სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობათა დირექტორებს, რომელთაც პირუტყვი ჰყავთ, აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს, რათა გადასცენ აღწერის რეგისტრატორებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით, ზუსტი და პირადად მათ მიერ შემოწმებული ცნობები თავიანთი კუთვნილი პირუტყვის რაოდენობის შესახებ 1936 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით. ამას გარდა დაევალოთ აღნიშნულ მეურნეობათა დირექტორებს გადასცენ რეგისტრატორებს ცნობები საბჭოთა მეურნეობის (კოოპმეურნეობის) ტერიტორიაზე მცხოვრები მუშა-მოსამსახურეების მეურნეობათა რაოდენობის შესახებ.

6. ის პირნი, რომელნიც აღწერას გადუმალავენ პირუტყვს და წარმოადგენენ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების არასწორ ცნობებს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. მოლოტოვი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი

ი. მიროშნიკოვი

მოსკოვი, კრემლი
1935 წლის 4 დეკემბერი

□

1936 წ. იანვარში პირუტყვის აღწერის ჩასატარებლად საპრემიო ფონდის გამოყოფის შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 1936 წლის იანვარში პირუტყვის აღწერის ჩასატარებლად საპრემიო ფონდი 20.000 მანეთის ოდენობით.

2. აღნიშნული ფონდიდან, ამიერკავკასიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსის წარდგენით, დაჯილდოებულ იქნან ის მუშაკები, რომელნიც პირუტყვის აღწერის ჩატარებისას განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს: რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტებისა და სახკომსაბჭოების რწმუნებულნი პირუტყვის აღწერის ჩატარებაში, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო და საუბნო ინსპექტორები და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკები, რომელნიც უზრუნველჰყოფენ პირუტყვის მთელი სულადობის სრულებით უკლებლივ აღრიცხვას სასოფლო ადგილებში, ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში და საზამთრო საძოვრებზე, აღწერის და საკონტროლო შემოვლის შედეგების დაწესებულ ვადებში წარდგენას; დაჯილდოებულ იქნან აგრეთვე ცალკეული კოლმეურნენი, რომელნიც ყველაზე უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნული აღწერის ჩატარებაში.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

ფ. მახარაძე

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:

ს. თოდრია.

□ □ □

მანდარინის დამზადება

დამზადებულია 158 9 9 000 ცალი მანდარინი

გეგმა შესრულებული, 105,9 პროცენტით

სახკომსაბჭოსთან არსებულ დამზადების კომიტეტის 8 დეკემბრის ცნობებით

	გეგმით	ფაქტიურად	შესრულება პროცენტ.
აჭარისტანის ს.ს.რ.	120.000.000	125.410.000	104.5
აფხაზეთის ს.ს.რ.	11.000.000	11.030.000	100,3
მახარაძის რაიონი	15.000.000	17.000.000	113,3
ლანჩხუთის რაიონი	3.000.000	3.594.000	119,8
ჩოხატაურის რაიონი	400.000	123.000	30,8
ფოთის რაიონი	1.000.000	629.000	62,9
ზუგდიდის რაიონი	600.000	715,000	119,2
ცხაკაიას რაიონი	350.000	418.000	119,4
ს უ ლ	150.000.000	158.919.000	105,9

დამზადება გრძელდება.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაჯიკისტანისა და თურქმენისტანის მოწინავე კოლმეურნეთა თათბირი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან

ალა იუსუფ ალის სიტყვა

(თურქმენისტანის ბაირამ-ალის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის თავმჯდომარე).

(ლაპარაკობს თურქმენულ ენაზე).

თურქმენისტანის კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნი ამხანაგ სტალინს და პოლიტბიუროს წევრებს (ტაში).

მე ვიყავი დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატი. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ შევიმუშავეთ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. ამ ყრილობაზე მე გამოვედი, როგორც დელეგატი. მაშინ მე ჰექტარზე ვიღებდი 32 ½ ცენტნერ ამერიკული ჯიშის ბამბას. ჩემს გამოსვლაში მე შევპირდი ამხანაგ სტალინს, რომ წელს ჰექტარზე მივცემდი 40 ცენტნერს. ეხლა მე ვუპატაკე, რომ ეს დაპირება შევასრულე (მქუხარე ტაში).

ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ მე ჩემი კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ ყველა კოლმეურნესთან ერთად დაწვრილებით დავამუშავე სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. კოლმეურნეებმაც განიხილეს ჩემი შეპირება, რომელიც მე ამხანაგ სტალინს მივეცი იმ ყრილობაზე. მათ ერთხმად მიიღეს ჩემი შეპირება და გადასწყვიტეს შეესრულებინათ თავიანთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის სიტყვები. როცა მე მათ ვუამბობდი სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებაზე, როცა ვუამბობდი პირუტყვის იმ რაოდენობაზე, რომელიც შეუძლია ერთპიროვნულად ჰყავდეს ყოველ საკოლმეურნეო კომლს, გამოვიდა ერთი კოლმეურნე და სთქვა: „ამხანაგი სტალინი თითქოს ჩვენს შორის არის და იცის ყოველი კოლმეურნის სურვილიო“. აი რამდენად ძლიერი იყო ამ წესდების შთაბეჭდილება და გავლენა კოლმეურნეებზე. ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ რომ შევასრულებდით ბელადის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას და შევასრულეთ კიდეც ეს დაპირება, რომელიც კოლმეურნეთა მეორე ყრილობაზე ვიკისრეთ.

ამის შედეგად წელს ჩვენ ბამბისაგან ველოდებით დიდ შემოსავალს — დაახლოვებით ერთ მილიონ მანეთს.

სტალინი. ერთი კოლმეურნეობა ღებულობს?

ალა-იუსუფ ალი. დიახ, ერთი კოლმეურნეობა.

სტალინი. რამდენი მეურნეობა?

ალა-იუსუფ ალი. 47 მეურნეობა.

ჩვენ გვაქვს ელექტრონის განათება, რადიო, გვაქვს სკოლები. გვაქვს ფული, მაგრამ, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ძველებურად კიბიტკებში (ჩარდახებში) ვცხოვრობთ.

სტალინი. ხეტყე გაკლიათ.

ალა იუსუფ ალი. აი, მე ძალიან გთხოვთ დაგვეხმაროთ ხეტყის მასალის მხრივ.

მოლოტოვი. მართალია!

ალა იუსუფ ალი. ფული გვაქვს, ყველაფერი გვაქვს, მაგრამ თურქმენისტანში ხეტყის მასალა არ არის. ძალიან გთხოვთ დაგვეხმაროთ ამ მხრივ (გამოცოცხლებულია). ჩვენ დღეს ვესწრებით ასეთ დიდ ზეიმს ამხანაგ სტალინთან ერთად. ეს ყოვლად შეუძლებელი იყო ძველ დროს. მე ვცხოვრობ ბაირამ-ალის რაიონში. ამ რაიონში არის მეფე ნიკოლოზ მეორის ყოფილი მამული. ამ რაიონში ცხოვრობდნენ იუსუფ-ხანი და ვოლი-ხანი.

ჩვენ მათთვის ვმუშაობდით და არ ვიცოდით, თუ რამდენს ვღებულობდით. ისინი ჩვენ მუდამ გვატყავებდნენ.

ახლა პარტიამ ჩვენ მიგვიყვანა ნათელ, სასიხარულო ცხოვრებამდე. ამისათვის ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობას, ჩვენი დიდი პარტიის ხელმძღვანელობას.

გაუმარჯოს ხალხთა დიდ, საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს პოლიტბიუროს წევრებს! (მქუხარე ტაში).

ჯურა ბობოკალანოვის სიტყვა

(ტაჯიკისტანის ხოჯენტის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ თავმჯდომარე).

(ლაპარაკობს ტაჯიკურ ენაზე).

ნება მომეცით, ამხანაგო სტალინ, მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდებით და თქვენ მიერ კოლმეურნეებისათვის მიცემული მითითებით, თუ როგორ უნდა აეშენონ თავიანთი ცხოვრება, დავეხმარეთ და გვიჩვენეთ გზა. თუ როგორ გამოვსულიყავით შავბნელი, ძველი, დამონებული ცხოვრებიდან და ჩავმდგარიყავით ჩვენი დიდი კავშირის ყველა რესპუბლიკის მთლიან რიგში (ტაში).

ამხანაგო სტალინ! ჩვენ მოგიტანეთ თქვენ იმის ნიმუშები, თუ რა მოგვყავს ჩვენს მინდვრებსა და ბაღებში. ჩვენ არამც თუ მოგვყავს ბამბა, ვიბრძვით ბამბის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ვიბრძვით იმისთვისაც, რომ ჩვენს დიდ სამშობლოს მივცეთ რაც შეიძლება მეტი ბამბის პროდუქცია — ეს არის ჩვენი ძირითადი ამოცანა. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ შევსძელით ძველი წვრილი კაპიტალისტური ბაღების ნაცვლად გაგვეშენებინა ჩვენი საკოლმეურნეო აყვავებული ხილის ბაღები.

ჩვენი კოლმეურნეები ეწევიან აბრეშუმეობასაც, რომლის გეგმა ტაჯიკისტანმა და ჩვენმა კოლმეურნეობებმა წელს გადაჭარბებით შეასრულეს (ტაში).

დამკვრელურად მუშაობით, სტახანოვურად მუშაობით ჩვენმა კოლმეურნეობამ „სოციალიზმმა“ თითო ჰექტარზე უკვე მიიღო და ჩააბარა 23,5 ცენტნერამდე ეგვიპტის ჯიშის ბამბა.

ჩვენი მუშაობის შედეგად ახლა ჩვენ შევსძელით გაგვედიდებინა შემოსავლიანობა ისეთ ოდენობამდე, რომ წელს ყოველ შრომადღეში მივიღებთ ფულად 25 მანეთს, გარდა იმისა, რომ ნატურით მივიღებთ ხილს და სხვადასხვა მარცვლეულს.

სტალინი. თითო შრომადღეში?

ბობოკალანოვი. მე დამავალეს კოლმეურნეებმა გადმოგცეთ თქვენ ამხანაგო სტალინ, თქვენი პორტრეტი, გაკეთებული კოლმეურნე ოსტატების — მხატვრების მიერ.

ხოჯენტის რაიონი — ეს ტაჯიკისტანის ერთ-ერთი ჩრდილო წყალნაკლები რაიონია და ესაჭიროება ძლიერი სასუქის შეტანა. ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენი ქვეყანა, რომელიც წლითიწლობით მტკიცდება, ძლიერი და მდიდარი ხდება, შესძლებს უზრუნველყოს სასუქის, იარაღის და ჩვენი მეურნეობისათვის საჭირო სხვა საგნების ისეთი რაოდენობის შეტანა რომ შევიძლოთ უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის მთელი მოთხოვნილება ბამბაზე და გავაკეთოთ ისეთი მარაგი, როგორიც კაპიტალიზმის არც ერთ ქვეყანას არ მოსწრებია (ტაში).

ჩვენ ვითხოვთ დაჩქარდეს ხოჯაბაკირგანის სისტემის მშენებლობა, ვინაიდან ამ მშენებლობის დამთავრებით ჩვენს რაიონს, როგორადაც ჩრდილოეთის ყველა რაიონს, მუდამ წყლის ნაკლებობა ექნება.

ჩვენ ვითხოვთ დაწყებულ იქნას საფეიქრო კომბინატის მშენებლობა. (მქუხარე ტაში).

ჩვენი ხოჯენტი სრულიად ახალი რაიონი გახდა. იგი გარდაიქმნა. მასში ძველი არაფერი დარჩენილა. და ის ახალი ცხოვრება, ის ახალი ადამიანები, ახალი კადრები, რომლებიც დღეს გამოიზარდნენ, ხელმძღვანელობენ და აშენებენ ახალ ცხოვრებას ხოჯენტში — ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც მიდიოდნენ ამხანაგ ლენინის მითითებით, რომლებიც ახორციელებდნენ საქმეებს ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებით (ტაში).

ხოჯენტის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა ბამბის ფრონტზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ განიხილეს რა ეს საკითხი გადასწყვიტეს გარდაქმნილ ხოჯენტს დაარქვან ახალი სახელი — იმ დიდი ადამიანის სახელი, რომელიც გვიშუქებდა და გვიჩვენებდა გზას, რომელმაც ჩვენი ჩაგრული ქვეყანა ახალ ცხოვრებამდე მიიყვანა — ამხანაგ ლენინის სახელი, დაარქვან ხოჯენტს ლენინაბადი. (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში, „ვაშას“ ძახილი), ამხანაგ ბობოკალანოვის სიტყვის დასასრულს კოლმეურნეებმა პრეზიდიუმს მიართვეს გამხმარი ხილით სავსე ყუთები. ტაში. ყველა ფეხზე დგება მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. განუწყვეტელი „ვაშა“. კოლმეურნეებმა პრეზიდიუმს გადასცეს ამხანაგ სტალინის პორტრეტი, რომელიც მხატვრულად არის გაკეთებული ბამბის თესლისაგან. „ვაშა“ ძახილი. მისასალმებელი შეძახილები ტაჯიკურ და თურქმენულ ენებზე).

ამხ. ლიუბიმოვის სიტყვიდან*)

საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი

ამხანაგებო, ჩვენ დღეს აქ მივესალმებით ჩვენს ძვირფას სტუმრებს —საკოლმეურნეო მინდვრების საუკეთესო მუშაკებს, საუკეთესო მებამბეებს, რომლებმაც დღემდე გაუგონარ წარმატებებს მიაღწიეს ბამბის მოყვანაში, მაღალი, წლევანდლამდე უმაგალითო მოსავლის მიღებაში.

ამხანაგებმა ბევრი იმუშავეს, და თვითეული აქ დამსწრეთაგანი საუკეთესო წარმომადგენელია საუკეთესო კოლმეურნეობებისა, რომლებიც მაღალ მოსავლიანობას იძლევიან. ეს მოსავლიანობა მსოფლიო ნორმებს აღემატება. 30 ცენტნერი ეგვიპტური ბამბა ჰექტარზე, რომელიც კოლმეურნეობა „კომინტერნმა“ შეაგროვა, სადაც ბობოკალანოვი მუშაობს. 50 ცენტნერი ჰექტარზე, რომელიც თურქმენისტანის ზოგიერთმა კოლმეურნეობამ შეაგროვა ბამბის სარეკორდო მოსავალია ჩვენს მინდვრებზე.

ამხანაგებო, ეს წარმატებები უზრუნველჰყო იმ ენტუზიაზმმა მუშაობაში, შრომის იმ ენტუზიაზმმა, იმ უდიდესმა მუშაობამ, რომელიც სწარმოებს ახლა ბამბის მინდვრებზე, და იმ პირობებმა, რომლებიც შექმნილია ბამბის მოსაყვანად, მებამბეობის გასავითარებლად.

ეს საქმე, ეს მიღწევები, როგორც ყველა ამხანაგმა მშვენივრად იცის, მიღწეულია ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. ის პირადად ხელმძღვანელობდა ამ საქმეს (ხანგრძლივი ტაში, „ვაშას“ ძახილი „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“).

ამჟამად ჩვენ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, როდესაც კოლმეურნეობა კოლმეურნეობას ეჯიბრება, რგოლი რგოლს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა, ერთ იქვს დღიურში იღებენ ასი ათას მანეთს (ტაში).

ამხანაგო, სტალინ, მე ვიყავი მებამბეობის მრავალ კოლმეურნეობაში და უნდა ვთქვა, რომ ამჟამად არ არის ისეთი კულტურა, რომელიც ისე სასარგებლო იყოს სოფლის მეურნეობისათვის კოლმეურნეთათვის, როგორც ბამბა. არ არის სხვა ასეთი კულტურა (ტაში). ჩვენს შუა აზიის რესპუბლიკებში ბამბა გადაიქცა ხელსაყრელ და საპატიო კულტურად, რომლისთვისაც იბრძვიან, ვინაიდან იციან, რომ ამით უზრუნველყოფილი ხდება შეძლებული, კულტურული ცხოვრების შესაძლებლობა, უკეთესი, ბედნიერი, უფრო საამური ცხოვრების შესაძლებლო-

მაგრამ ეს წარმატებანი უზრუნველყოფილია ჩვენი პარტიის საერთო პოლიტიკით. ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის პოლიტიკით. მე დავესწარი ორ ყრილობას: უზბეკისტანისა და ტაჯიკისტანისას. იქ გამოსულთა სიტყვები მოწმობენ, რომ სოფლის მეურნეობის მაშინიზაცია, ტრაქტორების, კულტივატორების, სათესი მანქანების უდიდესი რაოდენობით დანერგვა სოფლის მეურნეობაში აადვილებს კოლმეურნის შრომას და შესაძლებლობას იძლევა მიიღონ მაღალი მოსავალი.

კოლმეურნეებმა იციან, რომ ის მუშაობა, რომელიც შესრულდა რესპუბლიკებში, როგორც, მაგ. ტაჯიკისტანში, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ჩამორჩენილი იყო და ამჟამად პირველად გამოვიდა პირველ ადგილზე, შეიძლება შესრულებული ყოფილიყო მხოლოდ ყოველდღიური ბრძოლით, მხოლოდ ყოველდღიური ყურადღებით და ხელმძღვანელობით ტაჯიკისტანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. შადუნცის მხრივ. ეს უნდა აღინიშნოს. (ტაში). ის წარმატება, რომელზედაც აქ ლაპარაკობდა სტალინსკის სმტ-ის დირექტორი, რომ თურქმენისტანი სამი წელიწადია ზედიზედ ასრულებს გეგმას, აგრეთვე შედეგია სისტემატური შეუპოვარი ბრძოლისა მაღალი მოსავლიანობისათვის თურქმენისტანის ცენტრალური კომიტეტის მხრივ მისი მდივნის ამხ. პოპოკის მეთაურობით (ტაში).

უკანასკნელ დროს მოწმენი ვართ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეურნეობის სხვადასხვა დარგში: ჩვენი მრეწველობის სტახანოველებს, საუკეთესო კომბაინერებს და კომბაინერ-ქალებს, დღეს კი ჩვენ მივესალმებით ჩვენი ბამბის მინდვრების საუკეთესო დამკვრელებს—სტახანოველებს.

ეს კადრები წლიდან წლამდე იზრდებიან და მტკიცდებიან საკოლმეურნეო მინდვრებზეც და ჩვენს სამრეწველო საწარმოებშიც. შუა აზიაში, ვახორციელებთ რა ლენინ-სტალინის ნაციონალურ პოლიტიკას, ვაშენებთ მსუბუქი მრეწველობის ახალ საწარმოებს. ტაჯიკისტანში ჩვენ გვაქვს აბრეშუმის ორი ძაფსახვევი ფაბრიკა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა. თურქმენისტანში ჩვენ გვაქვს ორი აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკა, საფეიქრო კომბინატი.

ამხანაგო ტაჯიკებო! თქვენი წარმატებანი ბამბის მინდვრებზე უფლებას გაძლევთ მეტის სიმტკიცით დასვათ საკითხი საფეიქრო კომბინატის აგების შესახებ ტაჯიკისტანში. და ჩვენ ახლა ვსწავლობთ ამის შესაძლებლობას, მოსამზადებელ მუშაობას ვაწარმოებთ (ტაში).

შადუნცი. შესწავლა ცოტაა, აგებაა საჭირო.

ლიუბიმოვი. ჩვენ დავსვამთ ამ საკითხს და თქვენ სრული უფლება გაქვთ, რადგან თქვენ მოიპოვეთ ასეთი საუცხოო წარმატებანი, ასეთი საუცხოო მოსავალი, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ აშენდეს თქვენში კომბინატი.

წელს ჩვენ საუცხოო მოსავალი გვაქვს. ნაცვლად შარშანდელი 23.200 ათას ფუთისა, წელს 32 მილიონ ფუთ ბოჭკოს შევაგროვებთ.

სტალინი. ხომ არ აჭარბებთ?

ლიუბიმოვი. ჩვენ უკვე 24 რიცხვისათვის გვქონდა 30 მილიონი ფუთი. ახლა ტაჯიკისტანმა გეგმა 112 პროც. შეასრულა.

შადუნცი. 112 ნახევარი პროცენტით.

ლიუბიმოვი. თურქმენისტანმა — 107 პროც. უზბეკისტანი თავგამოდებით იბრძვის გეგმის გადაჭარბებისათვის. ჩამორჩენილია აზერბეიჯანი და ახალი რაიონები. მაგრამ შუააზიის ძირითადი რესპუბლიკები, კერძოდ უზბეკისტანის წარმატებანი უზრუნველყოფენ სახელმწიფოს მიერ დაწესებული გეგმის მნიშვნელოვან გადაჭარბებას. 31 ნახევარი მილიონი ფუთი მტკიცედ იქნება უზრუნველყოფილი, და შესაძლებელია 32 მილიონი ფუთიც იყოს.

სტალინი. 31 მილიონი უკვე არის.

ლიუბიმოვი. ეს ქმნის მტკიცე ბაზას ჩვენი ბამბეულის მრეწველობისათვის.

ჩვენი საფეიქრო საწარმოები და ფეიქრები ამხანაგური გულმხურვალებით და ენტუზიაზმით გხვდებიან თქვენ—ბამბის მინდვრებზე გამარჯვებულებს (ტაში).

ჩვენ საბოლოოდ განვთავისუფლდით ბამბის დარგში უცხოეთზე ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან.

ის ბრძოლა, რომელიც ახლა რესპუბლიკებში სწარმოებს ბამბისათვის, სრულ იმედს იძლევა, რომ 1936 წლის მოსავალი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ეს ბრწყინვალე პერსპექტივებს უშლის ჩვენს საფეიქრო მრეწველობას უკეთესი ხარისხის და უფრო მეტი რაოდენობის საქონლის მისაღებად, რადგან კოლმეურნეთა და მუშათა მოთხოვნილება წლიდან წლამდე იზრდება.

საერთო ძალღონით საკოლმეურნეო მინდვრების საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მომავალ წელს უკეთესი მოსავალი მივიღოთ და ბრწყინვალე პერსპექტივებს მივაღწიოთ ჩვენი საფეიქრო მრეწველობისათვის, ვიბრძოლოთ ფართო მოხმარების საქონლის მეტი რაოდენობის მიღებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ბრძენ შტაბს—სა.კ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, მასწავლებელს, ჩვენს საყვარელ ამხანაგს სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

* * *

---

*) ამხ. ლიუბიმოვის სიტყვა ითარგმნება ტაჯიკურ და თურქმენულ ენებზე.



ა.-კ რკინიგზის ორდენოსანი დელეგატები სტახანოველ . კრივონოსელები: მარცხნიდან — მარჯვნივ გზის მე-5 საექსპლ. განყოფილების დისპეტჩერი ამხ. დილანიანი, ხაშურის ელდეპოს მემანქანე ამხ. გაფრინდაშვილი და გაჩოს მე-2 სადგურის მეისრე ამხ. რამაზან ალიევი

ამხ. ჩერნოვის სიტყვა*)

სსრ კავშირის მიწადმოქმედების სახალხო კომისარი

ამხანაგებო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახელით, 250 ათასი კოლმეურნეობის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ ბამბისათვის ბრძოლის ფრონტზე მიღწეულ უდიდეს გამარჯვებას. (ტაში).

პარტიამ და მთავრობამ გითხრათ, რომ წელს აღებული იყო 30 მილიონ ფუთზე მეტი ბამბის ბოჭკო. 1 დეკემბრისათვის უკვე აღებულია 31 მილიონი 600 ათასზე მეტი ფუთი ბამბა (ტაში). ბამბის აღება გრძელდება და მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ წელს ჩაბარებული იქნება 33 მილიონი ფუთი ბამბა (ტაში).

სტალინი. ჩერნოვ, ბოჭკო?

ჩერნოვი. დიახ, ბოჭკო. ეს ნიშნავს გადიდებას შარშანდელთან შედარებით 9 მილიონი ნახევრით, ანუ 40-ზე მეტი პროცენტით მარტო ერთი წლის განმავლობაში (ტაში).

იმ მოწინავე რესპუბლიკათა რიცხვში, რომლებიც ასრულებენ, და არა მარტო ასრულებენ, არამედ უკვე გადაჭარბებითაც კი შეასრულეს ბამბის დამზადების გეგმა, არიან თურქმენისტანი, რომელმაც გეგმა 120 ნახევარი პროცენტით შეასრულა და ტაჯიკისტანი, რომელმაც წელს საბჭოთა კავშირში სხვა რესპუბლიკებზე ადრე პირველმა შეასრულა ბამბის ჩაბარების გეგმა.

ამ გამარჯვებებისათვის, რომლებიც მოპოვებულია წელს ბამბის ფრონტზე, ჩვენ პირველ რიგში უნდა ვუმადლოდეთ ამხანაგ სტალინს. დიდება და სახელი მას უდიდესი გამარჯვებებისათვის ბამბის ფრონტზე (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგი სტალინი არამც თუ დაუღალავ, არამედ ყოველდღიურ მზრუნველობასაც იჩენდა ბამბის რაიონების მიმართ. უწინარეს ყოვლისა, — გვეუბნებოდა იგი, —იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ბამბის ზრდა, საჭიროა უხვად მივცეთ პური მებამბეობის რაიონებს. მარცვლეულის პრობლემის გადაჭრამ საშუალება მოგვცა შეგვესრულებინა ეს მითითება და თქვენ, ამხანაგებო ახლა ამის საუკეთესო მოწმენი ხართ. ერთი წლის წინათ ამხანაგები მებამბეობის რესპუბლიკებიდან ჩამოდიოდნენ მოსკოვში იმისათვის, რომ ეთხოვნათ პური, დაობდნენ იმაზე, რომ ჩვენ იქ ძალიან ცოტა პური შეგვაქვს. ახლა ისინი ჩამოდიან მოსკოვში იმისათვის, რომ ედაონ დამზადებათა კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. კლეინერს არა იმაზე, რომ მებამბეობის რაიონებში მეტი პური შეიტანონ, არამედ იმაზე, რომ შეიტანონ ნაკლები რაოდენობის პური ვინაიდან მათ არ ჰყოფნით საწყობები (ტაში). ეს წარმოადგენს იმის საუკეთესო დადასტურებას, რომ მებამბეობის რაიონები მართლაც გავსებულნი არიან პურით.

ამხანაგი სტალინი გვასწავლიდა და გვეუბნებოდა, რომ შეუძლებელია ბამბის მეურნეობის განვითარება, თუ არ გავაადვილებთ მძიმე სამუშაოებს ბამბის დარგში, თუ ჩვენ მებამბეობის რაიონებს არ მივცემთ საკმაო რაოდენობის მანქანებს. და აი თქვენ, ამხანაგებო, რომლებიც აქ ზიხართ, იცით რომ სულ რამდენიმე წლის წინათ რაღაც ხუთიოდე წლის წინათ, ბევრ თქვენგანს არამც თუ არ ენახათ ტრაქტორები, არამედ მათ შესახებ გაგონილიც კი არაფერი ჰქონდა. ახლა კი მარტო ბამბის სარწყავ მინდვრებზე უკვე წელს მუშაობდა 10 ათასზე მეტი ბორბლიანი ტრაქტორი და დაახლოვებით ათასი მძლავრი ტრაქტორი „სტალინეცი“. (ტაში).

ამხანაგი სტალინი გვეუბნებოდა, რომ ტრაქტორებით ხვნა, — ეს ჯერ კიდევ ცოტაა, საჭიროა მივცეთ ისეთი ტრაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ ბამბის მწკრივებშორის დამუშავება. მისი მითითებით კიროვის ქარხანამ ლენინგრადში დაიწყო მწკრივთაშორის დასამუშავებელი და ბამბის სათესი ტრაქტორების გამოშვება. რა გვაქვს ჩვენ აქ ამ უაღრესად მოკლე ვადაში? 1934 წელს მებამბეობის რაიონებში ასეთი ტრაქტორები ჩვენ გვქონდა მხოლოდ 2 ნახევარი ათასი. 1935 წელს უკვე გვქონდა 6 ათასი და მომავალ წელს თქვენ კიდევ მიიღებთ 6.800 ტრაქტორს „უნივერსალი—1“ და „უნივერსალი—2“ (ტაში).

ჩვენ, ამხანაგებო, მხოლოდ ერთი წლის წინათ—1934 წელს გვქონდა მარტო 14 სატრაქტორო სათესი მანქანა. წელს თქვენ მიიღებთ თითქმის 3.000 მანქანას, ხოლო მომავალ წელს ჩვენი ქვეყანა თქვენ მოგცემთ 9 ათას სატრაქტორო სათეს მანქანას.

ამრიგად. ჩვენი მრეწველობის მეთაური—სერგო ორჯონიკიძის — ხელმძღვანელობით მრეწველობა ასრულებს ამხანაგ სტალინის მითითებას მებამბეობის რაიონებისათვის მანქანების უხვად მიწოდების შესახებ (ტაში).

ამხანაგმა სტალინმა სთქვა: მინერალური სასუქის გამოუყენებლად ძნელია ბამბის მეურნეობის განვითარება, შეუძლებელია მაღალი მოსავლის მიღებაო. ასრულებდა რა ამხანაგ სტალინის მითითებებს. მრეწველობა ამხანაგ ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით დღითი-დღე ადიდებს და მინერალური სასუქის შეტანას მებამბეობის რაიონებში. 1934 წელს ჩვენ მოგეცით 291 ათასი ტონა, მიმდინარე წელს—469 ათასი ტონა, ხოლო მომავალ წელს მებამბეობის მინდვრებისათვის მოგვცემენ 888 ათას ტონა აზოტის და ფოსფორის სასუქს. (მქუხარე ტაში, „ვაშას“ ძახილი). ამხანაგებო, ეს კიდევ ცოტაა. ჩვენ ამას არ ვმალავთ. ჩვენ გვესაჭიროება მეტი მინერალური სასუქი და მე დარწმუნებული ვარ, გაივლის 2—3 წელი და ჩვენი მებამბეობის რაიონები სავსებით უზრუნველყოფილი იქნებიან მინერალური სასუქით.

ამხანაგებო, ამხანაგმა სტალინმა სთქვა, რომ არ კმარა მარტო მანქანების მიწოდება, არამედ საჭიროა მთელი ყურადღება მიექცეს კადრებს, რათა მათ აითვისონ ეს მანქანები. ჩვენ ვიცით, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ახალი მანქანების ათვისება ჩვენს მებამბეობის რესპუბლიკებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. მაგრამ როცა ამხანაგმა სტალინმა ერთხელ კიდევ მიაქცია ყურადღება იმას, რომ საჭიროა „უნივერსალის“ ტრაქტორის სწრაფად ათვისება, მაშინ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში მკვეთრად გაიზარდა „უნივერსალ—1“ და „უნივერსალ—2“ ტრაქტორის გამოშვება. კადრები გამოიზარდნენ და ამას საუკეთესოდ მოწმობენ, საუკეთესოდ ადასტურებენ ის ამხანაგები, რომლებიც აქ ესწრებიან, და რომლებმაც თავიანთი მუშაობის პრაქტიკით, თავიანთი საქმით თავდაყირა დააყენეს ყველა „ჭეშმარიტება“, რომლებიც მებამბეობის ძველ სახელმძღვანელოებში იწერებოდა. (ტაში).

ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენი ქვეყნის პირობებში, შუა აზიის რესპუბლიკების პირობებშიაც კი შეუძლებელია მიგვეღოთ ჰექტარზე 6—8 ცენტნერზე მეტი ეგვიპტის ჯიშის ბამბის მოსავალიო. ხოლო პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შექმნა კოლმეურნეობები. ხოლო კოლმეურნეობებმა წარმოშვეს ადამიანები, რომლებიც უკვე ახლაც იღებენ ჰექტარზე ეგვიპტის ჯიშის ბამბის მოსავალს 25—26 ცენტნერის რაოდენობით. ეს ადამიანები ამ თათბირს ესწრებიან. იგივე „მეცნიერები“ ამბობდნენ, რომ ჩვენს პირობებში შეუძლებელია ჰექტარზე 13—15 ცენტნერზე მეტი ამერიკული ბამბის მოსავლის მიღებაო. აშენდა კოლმეურნეობები, რომლებმაც წარმოშვეს კოლმეურნე გმირები და აი აქ არიან ამხანაგები, რომლებიც ჰექტარზე იღებენ 40—50 ცენტნერ ამერიკული ჯიშის ბამბას. (ტაში)

ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ ადამიანის განთავისუფლებულ შრომას, ჩაგვრისაგან, მეფის კაბალისაგან, მემამულეთა კაბალისაგან, კულაკთა კაბალისაგან განთავისუფლებულ შრომას.

ჩვენ კიდევ უნდა გვახსოვდეს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მითითება ამხანაგ სტალინისა, რომელსაც ძალიან ხშირად გვეუბნება, რომ არ გაგვამედიდუროს მიღწეულმა წარმატებებმა, არ დავმშვიდდე ამ მიღწევებით. და ჩვენ არც უნდა დამშვიდდეთ მიღწევებით. ჩვენ ამოცანად უნდა დავისახოთ და არა მარტო დავისახოთ, არამედ რადაც უნდა დაგვიჯდეს გადავჭრათ კიდეც — მივცეთ ჩვენს ქვეყანას მომავალ წელს არანაკლებ 40 მილიონი ფუთი ბამბის ბოჭკოსი.

ამისათვის, ამხანაგებო, ჩვენ უდიდესი რეზერვები გვაქვს. და მართლაც, წელს ჩვენ ხომ მძრალად მოხნულ მიწაზე ბამბის მხოლოდ 60 პროცენტზე ცოტა მეტს ვთესავდით. ხოლო დანარჩენი და მთავარი ის არის, რომ, რაც შეიძლება მეტი ვთესოთ მძრალად მოხნულ მიწაზე. უნდა უზრუნველვყოთ ისეთი მდგომარეობა, რომ 1936 წელს თესვა ჩვენში მთლიანად მძრალად მოხნულ მიწაზე სწარმოებდეს.

ბამბის ნათესის საუკეთესო მდგომარეობას, ამაზე ადგილობრივი ამხანაგებიც ლაპარაკობენ, წარმოადგენს ნათესის სიხშირე, დაახლოებით 130 ათასი ბუჩქის რაოდენობით ჰექტარზე. ხოლო ჯერ-ჯერობით ჰექტარზე საშუალოდ საბჭოთა კავშირში ჩვენ გვაქვს მხოლოდ 65 ათასი ბუჩქი. ჩვენში, ამხანაგებო, ბამბის მოსავალი უმთავრესად დამოკიდებულია წყლის სწორად გამოყენებაზე. ხოლო სწორი მორწყვა კვლებში ჩვენთან მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენს. ჩვენ უნდა ავამოძრაოთ კოლმეურნეობები იმისათვის, რომ კვლებში სწორი მორწყვა გამონაკლისი კი არ იყოს, არამედ საერთო მოვლენა.

ბამბის ნათესის დამუშავება? ახლა ჩვენ გვყავს გმირი კოლმეურნეები, რომლებიც ახორციელებენ ბამბის ნათესების 6 დამუშავებას. მაგრამ ესენი არიან ცალკეული კოლმეურნეობები. ხოლო საშუალოდ საბჭოთა კავშირში ჩვენ სამ დამუშავებამდეც კი ვერ ვაღწევთ. უნდა ავამოძრაოთ კოლმეურნეთა მთელი დანარჩენი მასა იმისათვის, რომ მომავალ წელს განვახორციელოთ ბამბის ნათესის სულ ცოტა ხუთი დამუშავება.

ჩვენს განკარგულებაში მოიპოვება ბევრი სხვა რეზერვიც, რომლებსაც მე აქ არ ჩამოვთვლი. ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ ამ რეზერვების სწორად გამოყენება უსათუოდ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მომავალ წელს მივცეთ არანაკლებ 40 მილიონი ფუთი ბამბისა. ვფიქრობ გამოვხატავ საერთო აზრს, თუ ვიტყვი, რომ მებამბე კოლმეურნეები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მომავალ წელს შეასრულებენ ამ ამოცანას.

გაუმარჯოს გამარჯვებულ კოლმეურნეებს!

გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!** (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

---

*) ამხ. ჩერნოვის სიტყვა ითარგმნებოდა ტაჯიკურ და თურქმენულ ენებზე.

სამიწათმოქმედო მუშაკთა თათბირი მიწსახკომში

მოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში

ამ საკითხზე თათბირმა მოისმინა ქობულეთის, ამბროლაურის, ჩხოროწყუს, ზესტაფონის, გუდაუთის, ჩოხატაურის რაიმიწგანის გამგეების, სახმიწსახკომის აღრიცხვა-სტატისტიკური განყოფილების უფროსის ამხ. შ. ჭელიძის მოხსენებანი გაწეული მუშაობის შესახებ. მოხსენებათა გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. პრ. ცინცაძემ (სახმიწსახკომი), ამხ. შანიძემ (სამტრედიის მტს-ის დირექტორი), ამხ. შაფაქიძემ (მახარაძის მტს-ის დირექტორი) და სხვ.

გამოირკვა, რომ მოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში გასულ წელთან შედარებით უკეთ მიმდინარეობს.

დიდი გარდატეხა მოხდა ფულადი შემოსავლის განაწილების საქმეში. თუ გასულ წლის ზოგიერთ კოლმეურნეობაში შრომადღეზე ფული სრულიადაც არ გაუნაწილებიათ. წელს ასეთი შემთხვევა სრულიად აღარაა.

მოსავლის განაწილებაში აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანიც. ხობის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ბუკია ეწევა ისეთ ხარჯებს (ეტლის შესყიდვა), რომელსაც კოლმეურნეობის წლიური ხარჯთაღრიცხვა არ ითვალისწინებს. როცა მტს-ის დირექტორმა ამხ. ცაავამ ამაზე მიუთითა, ბუკიამ უპასუხა: — ეტლი შევიძინეთ, ეს რა ბოროტება არისო.

ფულადი შემოსავლის გეგმის ვადამეტებით დახარჯვისათვის ონის რაიონმა შრომადღეზე გაანაწილა ფულის სამი პროცენტი, ნაცვლად 19-სა. აბაშის რაიონმა 42 პროცენტის მაგიერ განაწილა ფულადი შემოსავლის 26 პროცენტი.

ზოგი რაიონის (ამბროლაური, ონი, ცაგერი, აბაშა) კოლმეურნეობებში მშენებლობაზე ხარჯავენ იმაზე მეტს, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული.

დასავლეთ საქართველოს რაიონთა თითქმის უმრავლესობაში არ გაუნაწილებიათ მეცხოველეობის პროდუქტები კოლმეურნეობების წევრებს შორის შრომადღეების მიხედვით.

თათბირზე სახ. მიწსახკომის წარმომადგენლებმა (ამხ. ჭელიძე, ცინცაძე) დაასახელეს ფაქტები საკოლმეურნეო ბრიგადების დაჯილდოვება-დაჯარიმების წესის დარღვევის შესახებ. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მიხედვით მემინდვრეობის ბრიგადა ჯილდოვდება იმ შემთხვევაში, თუ მასზე მიმაგრებული ნაკვეთიდან საშუალო საკოლმეურნეო მოსავალზე უფრო მეტს აიღებს. ზოგან (ქობულეთი, ლანჩხუთი, ზუგდიდი) ბრიგადები დააჯილდოვეს საწარმოო დაგეგმვით მიღებული მოსავლის მიხედვით. გარდა ამისა, ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბნის კოლმეურნეობაში ერთი ბრიგადა დააჯილდოვეს 98 შრომადღით, სამაგიეროდ მეორე დააჯარიმეს ამდენივე რაოდენობის შრომა-დღით. ბრიგადების დაჯილდოვება-დაჯარიმება ერთიმეორის ხარჯზე ეწინააღმდეგება სტალინური არტელის წესდებას.

თათბირზე მწვავედ აღინიშნა, რომ ზოგი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხობის, ზუგდიდის, ცხაკაიას და ქუთაისის რაიონებში დროულად არ უნაღდებს ტრაქტორისტებს ფულად და ნატურალურ პროდუქციას მათ გამომუშავებულ შრომადღეებისათვის. მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **შ. მათიკაშვილმა** დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ამ უმსგავსოებათა სასწრაფოდ გამოსწორების საჭიროებაზე და განაცხადა ტრაქტორისტმა ფულადი და ნატურალური შემოსავალი გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით უნდა მიიღოს იმ კოლმეურნეობისგან, რომელსაც იგი უხნავდა. ეს ტრაქტორისტს მისცემს სტიმულს მოსავლის შემდგომი გადიდებისათვის, რადგან მან [illegible] თავისი ნაკვეთით.

ჭიანურდება საკარმიდამო მიწების გამოყოფა

თათბირის დღის წესრიგის მეორე საკითხად იდგა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მიღება-რეგისტრაცია და საკარმიდამო მიწების გამოყოფა კოლმეურნეობისათვის.

გამოირკვა, რომ არტელის წესდების რეგისტრაცია შეუწყნარებლად ჭიანურდება. ეს სამუშაო პირველი ნოემბრის ნაცვლად ამჟამადაც არ არის დამთავრებული.

როგორ ტარდება ცხოვრებაში არტელის სტალინური წესდება? უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ამ მძლავრ იარაღს ჯეროვნად ვერ იყენებენ კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის. ის იმიტომ, რომ სუსტად ახორციელებენ წესდების ამა თუ იმ მუხლს. ასე, მაგალითად, ამხ. ამხ. ქანთარიამ (მიწსახკომი) თავის მოხსენებაში სხვათა შორის აღნიშნა ბაღდათის რაიონის, კოლმეურნეობებში ახლადმიღებულ წევრებს არ აძლევინებენ საწევრო გადასახადს. გალის რაიონის ზოგ კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს კრებას ესწრება წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე უფრო ნაკლები ნაცვლად ორი მესამედისა. ამრიგად ამახინჯებენ არტელის წესდებას.

გამოსული ამხანაგების უმრავლესობა ხაზს უსვამდა იმას, რომ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიები ვერ მუშაობენ ისე, როგორც ამას არტელის წესდება მოითხოვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სარევიზიო კომისიები არ ამოწმებენ კოლმეურნეობის საფინანსო საქმიანობას. რაიმიწგანები და მტს-ის დირექტორები ჯეროვან დახმარებას და ხელმძღვანელობას არ უწევენ სარევიზიო კომისიებს მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, კოლმეურნეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფას რაიონები უნდა შესდგომოდნენ მოსავლის აღების დამთავრებისთანავე. მოსავალი კარგა ხანია აღებულია. მაგრამ არც ერთ რაიონს არ დაუწყია საკარმიდამო მიწის მიზომვა კოლმეურნესათვის, ამ სამუშაოს დამთავრების ვადად კი დაწესებულია 1936 წლის 1 იანვარი.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს 15 რაიონში ხდება მიწის სამუდამო სარგებლობის აქტების ჩაბარება კოლმეურნეობათათვის. 20 ნოემბრისათვის 841 კოლმეურნეობიდან აქტი მიღებული ჰქონდა 317 კოლმეურნეობას. ყველაზე ნელი ტემპით აქტების ჩაბარება ხდება ქუთაისის, ვანის და სამტრედიის რაიონებში.

ამხ. შ. მათიკაშვილმა თათბირის მონაწილეებს დაავალა რაიონებში დაბრუნებისთანავე კოლმეურნის საკარმიდამო ნაკვეთის აზომვასთან ერთად მოახდინონ ამ მიწების გამოყოფის გაფორმება და მთელი მუშაობა იმნაირად წარმართონ, რომ იგი უსათუოდ დამთავრდეს 1935 წლის 1 იანვრამდე.

ბოლშევიკურად უხელმძღვანელოდ ახალ კოლმეურნეობებს

თათბირმა მოისმინა მიწსახკომის მარცვლეულის სამმართველოს უფროსის ამხ. **შ. ნამგალაძის** მოხსენება ახლადჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებში მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა **ბაღდათის** და **გალის** რაიონში 10 კოლმეურნეობის გამოკვლევის საფუძველზე აღნიშნა, ადგილობრივი სამიწათმოქმედო ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ ახლადმოწყობილ კოლმეურნეობებში მუშაობის გარდასაქმნელად.

ამ კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო დემოკრატია არ არის დაცული. ჩხოროგალის კოლმეურნეობაში ახალ წევრთა მიღება გადაწყდა ისეთ კრებაზე, რომელსაც 170 წევრიდან 75 ესწრებოდა.

ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხის, წინსვლის, ორჯონიკიძის, ბერიას, ტოროშელიძის სახელობის კოლმეურნეობებში განასაზოგადოებს წლისა და წლინახევრის მოზვრებს, რაც წესდებას ეწინააღმდეგება.

ბრიგადები ყველგან არ არის დაკომპლექტებული. იქ, სადაც დაკომპლექტებულია, იგი არ არის მიმაგრებული მუდმივ ნაკვეთებზე. მუშაპირუტყვი, ინვენტარი არ არის გაპიროვნებული ბრიგადებზე.

კოლმეურნეობების გამგეობას არ დაუწესებიათ გამომუშავების ნორმები და არ მოუპოვებიათ სამუშაოთა შეფასება შრომადღეებში. სანარდო, სისტემის ნაცვლად შემოღებულია მუშაობის ეგრეთწოდებული „ნადური“ წესი.

ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებულ შრომადღეების სწორად შეტანას შრომის წიგნაკებში.

ამხ. ნამგალაძემ აღნიშნა, კოლექტივიზაციის ზრდასთან დაკავშირებით სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ ახლადმოწყობილ კოლმეურნეობაში სწორად ტარდებოდეს სტალინური წესდება. დასავლეთ საქართველოში 10 თვის განმავლობაში ჩამოყალიბდა 382 ახალი კოლმეურნეობა. გარდა ამისა, არსებულ კოლმეურნეობებს შემატა ახალი წევრები. მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 112.000 კომლი. ხოლო პირველი ნოემბრისათვის კი — 195.500 კომლი.

ადგილებზე დაკმაყოფილდნენ კოლექტივიზაციის ზრდის პროცენტით. სამიწათმოქმედო მუშაკები თვითდამშვიდებას მიეცნენ საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებების გამო. ამით აიხსნება, რომ გამოკვლეულ კოლმეურნეობებში ასე ცუდად ხელმძღვანელობენ ახალ კოლმეურნეობებს.

თათბირზე გამოსული რაიმიწგანის გამგეები (ჭიათურა, ბაღდათი, ოჩამჩირე) ადასტურებდნენ, რომ ახალ კოლმეურნეობების უმეტესობაში ყველაფერი რიგზე ვერ არის და სიტყვას იძლეოდნენ, ადგილზე დაბრუნებისთანავე გამოასწორებთ შემჩნეულ ნაკლსაო.

ახლადმოწყობილ კოლმეურნეობებში მუშაობის გაჯანსაღებისათვის თათბირმა საჭიროდ სცნო განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების შერჩევას. ამისათვის საჭიროა ადგილებზე მოაწყონ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა და ბრიგადირების გადასამზადებელი კურსები. პარტმასობრივი მუშაობა აყვანილ უნდა იქნას მაღალ საფეხურზე, ხშირად უნდა იწვევდნენ საწარმოო თათბირებს და კურსკონფერენციებს.

O

კოლმეურნეობებში ინვენტარიზაციის ჩატარებისა, წლიური ანგარიშების 1936 წლის საწარმოო გეგმების და კოლმეურნეობათა შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე საინსტრუქციო მოხსენება გააკეთა მიწსახკომის აღრიცხვა-სტატგანყოფილების უფროსმა ამხ. **ჭელიძემ.**

გაამახვილა რა დამსწრეთა ყურადღება ზემოჩამოთვლილ სამუშაოთა მართებულად ჩატარების საჭიროებაზე, ამხ. ჭელიძემ განაცხადა, წლიური ანგარიშები და საწარმოო გეგმები უსათუოდ განხილულ და დამტკიცებული უნდა იქნას კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებებზე.

ამ მხრივ მუშაობა ადგილებზე ახლავე უნდა გაჩაღდეს, რადგან ინვენტარიზაცია, წლიური ანგარიშების და საწარმოო გეგმების შედგენა უნდა დამთავრდეს 1936 წლის იანვრის დამლევისათვის.

O

თათბირის მუშაობის შეჯამებისას მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **მათიკაშვილი** განსაკუთრებით შეჩერდა 1936 წლის საწარმოო დავალებათა შესრულებაზე. 1936 წელს უნდა მივიღოთ გაცილებით უფრო მეტი მოსავალი, ვიდრე წელს. ამისათვის კი საჭიროა მაღალი ნაყოფიერებით მუშაობა.

— სამიწათმოქმედო მუშაკთა ვალია — ამბობს ამხ. მათიკაშვილი — ყოველ მხრივ დაეხმარონ სოფლის მეურნეობის სტახანოველებს, გამოავლინონ შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და უხვი მოსავლის ოსტატები და მათი გამოცდილება ფართოდ გააცნონ ჩამორჩენილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცედ ვუხელმძღვანელოთ ერთეულ კომუნისტებს

ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა უნდა გაძლიერდეს

თელავის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა ჩამორჩენილია. მართალია, რაიკომის ინსტრუქტორები თავისი ზონის კომუნისტებს ესაუბრებიან აქტუალურ საკითხებზე და აძლევენ დავალებებს, მაგრამ შედეგად ბევრი არაფერი გამოდის, ერთეულ კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე, ძველებური რჩება, ისინი პარტიულ მუშაობას მოწყვეტილი არიან.

შევჩერდეთ რამდენიმე კონკრეტულ ფაქტზე:

წინანდლის საინსტრუქტორო ზონაში (ინსტრუქტორი ამხ. ან. გიგაური) კანდიდატების ჩათვლით 13 ერთეული კომუნისტია. რაიკომის ინსტრუქტორი ყველა ამ კომუნისტს ახლოს იცნობს, დავალებებს აძლევს, შესრულებასაც ამოწმებს და თვითეულს ესაუბრება, შედეგი? უმრავლესობა მიცემულ დავალებას არ ასრულებს, ჟურნალ-გაზეთებს არ კითხულობს.

ერთეული კომუნისტი ალექსი მალუძე, წინანდლის ამხ. გრ. ართუთინოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პოლიტიკურად მოუმზადებელია. მას მიცემული ჰქონდა დავალება ხელმძღვანელობა გაეწია კედლის გაზეთის გამოშვებისათვის. ეს დავალება არ შეასრულა. კოლმეურნეობაში კედლის გაზეთი არ გამოდის. დავალებული ჰქონდა კოლმეურნეთა შორის გაევრცელებინა ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ არც ეს შეუსრულებია. ჩაბმულია დაუსწრებელ სწავლებაში, მაგრამ არც მეცადინეობს.

ბუშატის კოლმეურნეობის ბრიგადირი რეზო ხიზანიშვილი ერთეული კომუნისტია. ინსტრუქტორისგან მიცემულ დავალებებს არ ასრულებს. პოლიტსკოლის ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევა, იგი არათუ ორგანიზატორია უპარტიოებისა, არამედ კუდში მისჩანჩალებს მათ.

ამ ზონაში არ მომხდარა ერთეულ კომუნისტთა თათბირი პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხზე; არ მოუსმენიათ მათი მოხსენებები მუშაობის შესახებ; ისინიც, რაკი ხელმძღვანელობას ვერ გრძნობენ, საკუთარ თავზე აღარ მუშაობენ.

სოფ. კურდღელაურის ერთეული კომუნისტი ამხ. ლადო კველიშვილი აცხადებს: — წინათ ტერიტორიულ პირველადს პარტორგანიზაციაში ვირიცხებოდი, პარტიულ დავალებებს მაძლევდნენ, ანგარიშსაც მთხოვდნენ და პარტიულ სწავლებაში. ჩაბმული ვიყავი. აგერ მერვე თვეა ერთეულ კომუნისტად ვითვლები და ერთხელ მეტად რაიკომს ჩემს მუშაობაზე ანგარიში არ მოუთხოვნია. ინსტრუქტორი მაძლევს დავალებებს, მაგრამ ჩემს პარტიულ მუშაობას რომ პერიოდულად ამოწმებდნენ, უფრო კარგი იქნებოდა.

ნაფარეულის ზონაში (ინსტრუქტორი ამხ. ვ. ფეიქრიშვილი) პარტდოკუმენტების შემოწმებამდე 13 ერთეული კომუნისტი — ითვლებოდა — 8 წევრი და 5 კანდიდატი. ისინი მოწყვეტილი იყვნენ პარტიულ მუშაობას; ზოგიერთი მათგანი ყოფაცხოვრებითი გახრწნილებაში, მოექცა; ლოთობენ და სხვ. — კომუნისტის სახე დაჰკარგეს. მათზე არ მოქმედებდა ინსტრუქტორის დარიგება. თვითნებურად იქცეოდნენ. პარტდოკუმენტების შემოწმებისას სამი მათგანი (ისტატე ჭოხონელიძე, პავლე ქყორონიშვილი და ნასიბ ყურბან-ოღლი) პარტიის რიგებიდან გაირიცხა.

რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. ფეიქრიშვილმა უკანასკნელ ხანებში ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა გამოაცოცხლა. გამართა მათი სპეციალური თათბირი და თვითეულს მისცა კონკრეტული დავალება, რომლის შესრულების შემოწმებასაც მტკიცედ მოჰკიდა ხელი.

— მას შემდეგ, რაც 18 ოქტომბრის „პრავდაში“ წავიკითხე ამხ. ლავიგინის წერილი „სოფლად ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის შესახებ“, ამბობს ამხ. ფეიქრიშვილი —მტკიცედ მოვკიდე ხელი ასეთ კომუნისტებთან მუშაობას. მათ მივუთითე განუხრელად შეასრულონ ჩემს მიერ მიცემული პარტდავალებები. ამას შემდეგ სულ რაღაც ორმა კვირამ გაიარა და ერთეულები ამხ. კუჭავა (ლალისყურის საბჭოთა მეურნეობა), ვ. ბაღაშვილი (ფშაველის კოლმეურნეობა), ალ. ექვსშაურაშვილი (ნაფარეულის მეორე კოლმეურნეობა), მუსა ყურბან-ოღლი (ყარაჯალის კოლმეურნეობა) და სხვები, გამოიცვალნენ, მათში გაძლიერდა პასუხისმგებლობის გრძნობა. უკეთ დაიწყეს მუშაობა საკუთარ თავზე და უფრო გააქტიურდნენ“.

თვით თელავში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას ეს მუშაობა. მარტო ერთხელ, ისიც პარტდოკუმენტების შემოწმების დაწყების პირველ დღეებში, მოიწვიეს ერთეული კომუნისტების თათბირი.

კომუნისტი, სტამბის გამგე ამხ. გრ. ენუქოვი ამბობს: —სანამ ერთეულად გამომყოფდნენ, ელსადგურის პირველადი პარტორგანიზაციის წევრად ვითვლებოდი, მაშინ პარტდავალებები მეძლეოდა, ჩაბმული ვიყავი პარტიულ სწავლებაში და ცოტად თუ ბევრად ვერკვეოდი პარტიულ მუშაობის ძირითად საკითხებში. მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთეულად დავრჩი, ვერ ვესწრები პოლიტმეცადინეობას, აღარ ვიცი როგორ იმართება პარტიული კრებები, არც რაიკომის ინსტრუქტორი მინახავს, რომ მას მოეცეს ჩემთვის რაიმე დავალება. ასეთი ერთეულები სხვებიც არიან.

საქ. კ.პ.(ბ) თელავის რაიკომმა ერთხელ მოისმინა ერთეული კომუნისტ კველიშვილის საანგარიშო მოხსენება, მაგრამ ეს არ კმარა. აქ არ ხდება ამ კომუნისტების რაიკომში გამოძახება, არ იმართება მათი სპეციალური თათბირები, ინსტრუქტორებს არ სთხოვენ, ანგარიშს, თუ როგორ მუშაობენ ისინი ერთეულ კომუნისტებთან. რაიკომმა ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს.

ჩვენ გვინდა აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით დავაყენოთ შემდეგი საკითხი. მართალია, ერთეულ კომუნისტებთან სისტემატური მუშაობას უნდა ვეწეოდეთ, მაგრამ კარგი იქნება, თუ გარდა ამისა მათ დავუკავშირებთ აგრეთვე რომელიმე მახლობელ პირველადს პარტორგანიზაციას, რათა იქ დაესწრნენ კრებებს, პოლიტმეცადინეობას, გაეცნონ პარტიული ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს და სხვ. ამით შევუქმნით მათ პირობებს არ მოსწყდნენ პარტიულ ორგანიზაციებსა და ცხოვრებას.

არ. კოკილაშვილი.

მოწინავენი გავხადოთ

პარტდოკუმენტების შემოწმებამ მთელ რიგ ნაკლთან ერთად ისიც გამოაშკარავა, რომ ერთეულ კომუნისტთა უმრავლესობა მოწყვეტილი იყო პარტიულ ცხოვრებას: ისინი არ ესწრებოდნენ პარტიულ კრებებს, ჩაბმული არ იყვნენ პარტგანათლების ქსელში და სხვ.

უკანასკნელ ხანში პარტრაიკომმა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება მიაქცია. შეისწავლა ყველა ერთეული კომუნისტი, მათი მუშაობის პირობები და დასახა ღონისძიებანი, რათა არცერთი მათგანი არ დარჩენილიყო პარტდავალების მიუღებლად და პარტგანათლების ქსელის გარეთ.

მაგალითად, ახალსოფლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნოე ტყებუჩავა ერთეული კომუნისტია. საბჭოსთან პირველადი პარტიული ორგანიზაცია არ არის, მაგრამ ამხ. ტყებუჩავა ჩაბმულია ამხ. მუშიშვილის სახელობის კოლმეურნეობის პოლიტსკოლაში. მას გამოწერილი აქვს გაზეთი „კომუნისტი“ და სხვა ჟურნალ-გაზეთები. ერთეული კომუნისტი, სოფ. ჭალადიდის მცხოვრები ამხ. გალაქტიონ ლოლუა ჩაბმულია ჭალადიდის ხეტყის მრეწველობის პირველადი პარტორგანიზაციის პოლიტსკოლაში.

სოფ. თეკლათის ერთეულ კომუნისტ ამხ. ანდრო გვარამიას რაიკომმა მიამაგრა ინსტრუქტორი ამხ. გ. კალაძე, რომელიც ამხ. გვარამიას პოლიტსკოლაში ამეცადინებს, აძლევს მას პარტდავალებებს და სისტემატურად ამოწმებს შესრულებას. ასევე მუშაობს თავის ზონაში ინსტრუქტორი ამხ. პ. თოფურია. ის მიემაგრა გეჯეთის სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარეს, ერთეულ კომუნისტ ამხ. სტეფანე ლომაიას და მზრუნველობით ეხმარება მის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში.

რაიონში პარტდოკუმენტების შემოწმების შემდეგ გაუმჯობესდა თვითეული კომუნისტთან მუშაობა. ახლა მათ მეტი ყურადღებით ეპყრობიან და მეტ დახმარებას უწევენ.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არის თვალსაჩინო ნაკლი: დავალებათა შესრულებას სისტემატურად არ ამოწმებენ, რაიკომის ინსტრუქტორთა ცოცხალი ხელმძღვანელობა და დახმარება ყველგან არ არის მოწესრიგებული. ინსტრუქტორებს არა აქვთ ტრანსპორტი. მაგალითად, ინსტრუქტორ ამხ. კალაძის სამოქმედო ზონა გაშლილია 28 კილომეტრზე (ჭალადიდის უბანი) და მთელ ამ მანძილზე მას ფეხით უხდება სიარული. ასეთ მდგომარეობაში არიან სხვა ინსტრუქტორებიც. პარტრაიკომმა ეს საქმე სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს.

ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა უბრალო საქმე როდია. ერთეულებს მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა სჭირიათ, რომ მათ სისტემატურად იმუშაონ საკუთარ თავზე, დარაზმონ უპარტიო კოლმეურნეთა აქტივი, კომკავშირელები და ნამდვილად შეასრულონ მოწინავეთა როლი საკოლმეურნეო წარმოებაში.

გრ. გეგენავა.

□ □ □ □ □ □ □

პარტიულ ცხოვრებას მოსწყდნენ

პარტიული დოკუმენტების შემოწმების შემდეგ რაიკომების წინაშე უფრო მკვეთრად დაისვა ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

პარტიული დოკუმენტების შემოწმებისა და პარტიის რიგებიდან ყოფილი მენშევიკების, ყოფილი თეთრგვარდიელების, თაღლითებისა და სხვა ანტიპარტიული ელემენტების გაძევების შემდეგ რაიონში ერთეული კომუნისტების რიცხვი გაიზარდა. თუ აქამდის რაიონში 25 ერთეული კომუნისტი იყო, ახლა მათი რიცხვი 85-მდე აღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს პარტორგანიზაციაში გაუმჯობესდა პარტიული მუშაობა და გაიზარდა კომუნისტების პასუხისმგებლობის გრძნობა, ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა მაინც მოისუსტებს. რაიონში მყოფ ერთეულ კომუნისტთა უმრავლესობა მოწყვეტილია პარტიულ ცხოვრებას, მათი განსაზღვრული ნაწილი ჩაბმული არაა პარტგანათლების ქსელში.

85 ერთეულ კომუნისტიდან პოლიტსწავლებაში ფაქტიურად ჩაბმულია მხოლოდ 37, ზოგიერთი მათგანი სრულებით არ იცნობს ამხ. ბერიას მოხსენებას „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

აი რას ამბობს ველისციხის ამხ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის ერთეული კომუნისტი ამხ. გ. ხუროშვილი: „მე ჩემი სურვილით ვესწრები კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის მეცადინეობას. აქ არაფერს მკითხავენ და თავს თავისუფალ მსმენელად ვგრძნობ“. ასეთსავე მდგომარეობაშია სოფ. ჭანდრის-უბნის ამხ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის ერთეული კომუნისტი ამხ. ვ. მანიჟაშვილი, ველისციხის ამხ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან — ამხ. მნაცაკანოვი და სხვ. ისინი აცხადებენ: ჩვენ დაშორებული ვართ პოლიტსკოლებს და არ ვიცით როგორ და რა წესით ვისწავლოთ, მით უმეტეს დამოუკიდებლად მეცადინეობა არ შეგვიძლიათ.

გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ რაიკომის გამსვლელი ინსტრუქტორები ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღებით ეკიდებიან ერთეულ კომუნისტებთან მუშაობას. ზოგიერთს კი, ეს მუშაობა სულ გამორჩა მხედველობიდან.

ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, 16 ნოემბერს საქ. კ.პ.(ბ) გურჯაანის რაიკომში, შესდგა გამსვლელ ინსტრუქტორთა თათბირი. თათბირმა აღნიშნა რაიკომის ინსტრუქტორების სუსტი მუშაობა და დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

მარტო ეს არ კმარა. რაიკომმა მუშაობის ამ უბანს უფრო მაგრად უნდა მოჰკიდოს ხელი.

არ. ბეციაშვილი.

□ □ □

ბელადის სიტყვას ამუშავებენ სტახანოველთა ოჯახებში

დონბასის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების მიხედვით, ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის პარტკომი აწყობს ამხ. სტალინის მიერ სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე წარმოთქმული სიტყვის დამუშავებას ქარხნის საუკეთესო სტახანოველთა ოჯახებში.

12 დეკემბერს ამხ. სტალინის სიტყვა დამუშავდება 20 საუკეთესო სტახანოველის ოჯახში.

▼ ▼ ▼ ▼ ▼

ფოტო— აკოფოვისა.

ამხ. კიროვის სახ. ქარხანა. პროპაგანდისტი ამხ. ნ. ორჯონიკიძე, ესაუბრება თავის მსმენელებს, სტახანოველ შ. კნიპენბერგს და ნ. ბეშკენოვს, სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე ამხ. სტალინის სიტყვის გარშემო

მ. ჯაში

ს. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივნის მოადგილე.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ ერთეულ კომუნისტებს

დუშეთის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში 53 ერთეული კომუნისტია. ამას თუ მივუმატებთ პარტკომკავშირულ ჯგუფებში გაერთიანებულ კომუნისტებს (რაც ერთად შეადგენს რაიონის პარტორგანიზაციის 25 პროც.), რომელთა მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება ერთეული კომუნისტების მდგომარეობისგან, მაშინ ნათელი გახდება ერთეულ კომუნისტებთან პარტიული მუშაობის სირთულე და თავისებურება.

ეს მუშაობა რთულდება განსაკუთრებით მთიულეთში (ფასანაური, გუდამაყარი და მლეთის სასოფლო საბჭოებში), სადაც 67 მესაქონლეობის კოლმეურნეობაა და რომელშიაც 18 ერთეული კომუნისტია, ამრიგად კოლმეურნეობის უმრავლესობა უკომუნისტებოდ არიან და არც ერთ კოლმეურნეობაში პირველადი პარტორგანიზაცია არ არსებობს.

ერთეული კომუნისტების უმრავლესობის მომზადების დონე ძალზე დაბალია. ყველა ეს პირობა ართულებს კონკრეტულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას. ამ ზონის ინსტრუქტორი ამხ. დავლიანიძე აღნიშნავს, რომ მისთვის ძლიერ ძნელია თვითეული ერთეული კომუნისტისთვის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა. მათი უმრავლესობა დაშორებულნი არიან რაიონის ცენტრს (დაახლოებით 40—50 კილომეტრით). ეს ძალზე ხელს გვიშლის მუშაობაში.

ერთეული კომუნისტების ასეთი დაქსაქსულობა და სიშორე ართულებს მათი პარტიული სწავლების მოწესრიგებას. პოლიტსკოლაში მათი გაერთიანება შეუძლებელია ხდება, სადაც ეს შესაძლებელია ტერიტორიულად, ისინი ჩარიცხულნი არიან მახლობელ პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაში (მაგ. ფასანაურში, გუდამაყარში, მლეთში, ანანურში და სხვ.). ხოლო სადაც მოსახერხებელია, მოწყობილი გვაქვს ინდივიდუალური სწავლება. მათ უშუალოდ ხელმძღვანელობენ გამსვლელი ინსტრუქტორი ან პროპაგანდისტები, ინდივიდუალურ სწავლებას ძალზე უშლის ხელს ერთეული კომუნისტების პოლიტიკური და საერთო განათლების დაბალი დონე. უმრავლესობამ კარგად არ იცის კითხვა და წაკითხულის გაგება უძნელდება, ერთეული კომუნისტების მცირემცოდნეობის სალიკვიდაციოდ, მიმაგრებული არიან სპეციალური მასწავლებლები. ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივების საფუძველზე რაიონულმა კომიტეტმა მჭადისჯვარში და ფასანაურში მოაწყო დაუსწრებელი პარტიული სწავლება საკოლმეურნეო აქტივისათვის, სადაც ერთეული კომუნისტებიც არიან ჩაბმულნი. მათი უმრავლესობა კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, სასაქონლო ფერმის გამგეები, მწყემსები და ბრიგადირებია. დაუსწრებელ პარტიულ სწავლებაში მათი ჩაბმა უსათუოდ კარგ შედეგებს მოგვცემს.

ერთეული კომუნისტებისათვის ცალკე დავალებათა მიცემის გარდა, რაიკომი საინსტრუქტორო ზონების მიხედვით სისტემატურად აწყობს მათ შეკრებას პარტიის და ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა დასამუშავებლად. ანანურის საინსტრუქტორო ზონაში (ინსტრუქტორი ამხ. რუხაშვილი) ივლისის თვიდან დღემდე გაიმართა ხუთი თათბირი, სადაც დამუშავდა მთელი რიგი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხები.

ამ თათბირზე ვისმენდით აგრეთვე ერთეულ კომუნისტების თვითანგარიშებს მიცემულ დავალებათა შესრულების შესახებ. მაგ: აგვისტოში მოვისმინეთ ამხ. ბედუკაძის, ხოლო სექტემბერში ამხ. კბილცეცხლაშვილის თვითანგარიში. ამ ზომამ ერთეულ კომუნისტთა უნარიანობის გამოვლინებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ასეთი თათბირები მოვაწყეთ სხვა საინსტრუქტორო ზონებშიც.

მარტო ამ ღონისძიებებით არ განისაზღვრება ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა. გამსვლელი ინსტრუქტორები სისტემატურად მიდიან ერთეულ კომუნისტებთან კოლმეურნეობაში, ბრიგადაში, საბჭოში და აძლევენ დავალებებს საამისოდ შემოღებულ რვეულებში ჩაწერით, მეორედ მოსვლისას ინსტრუქტორი ამოწმებს დავალების შესრულებას და აძლევს ახალ დავალებას. ასეთი მიდგომის შედეგად ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ერთეულ კომუნისტების მუშაობაზე, მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე, მოვიყვან მაგალითს. აი რას ამბობს გამსვლელი ინსტრუქტორი ამხ. რუხაშვილი: ვანო ანდრიას ძე ბედუკაძე, პარტიის წევრი 1931 წლიდან, მუშაობს ავენისის კოლმეურნეობაში. გამგეობის აქტიური წევრია. წინათ იგი დაბალი ცოდნით იყო, სუსტ მონაწილეობას იღებდა საკოლმეურნეო და საზოგადოებრივ მუშაობაში, ცუდად ერკვეოდა პარტიის წესდებაში, არ კითხულობდა გაზეთს, ხშირად აცდენდა პოლიტსკოლის მეცადინეობას. მე-17 პარტყრილობის შემდეგ უფრო ახლოს დავუკავშირდი ბედუკაძეს, დავეხმარე მას პარტიის წესდების შესწავლაში, მივეცი დავალება პარტიის წესდების შესასწავლად და მოკლე ხნის შემდეგ ჩემი დახმარებით უფრო გაერკვა წესდებაში.

წესდებაში რომ გაერკვა და გაიგო პარტიის წევრის მოვალეობანი, საკოლმეურნეო და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც დაეტყო აქტივობა. ავენისის კოლმეურნეობამ 1935 წლის საშემოდგომო თესვის გეგმა ყველაზე ადრე შეასრულა. 1935 წლის მოსავლის აღებამ აქ ყველაზე უკეთ ჩაიარა. ბედუკაძეს მივეცი დავალება, რათა თავთავი არ დარჩენილიყო მინდორში, მოეწყო ბრიგადა ქალებისა და ბავშვებისა, რომლებიც მიჰყვებოდნენ მანქანას და აკრეფდნენ თავთავს. მან ეს შეასრულა.

ბედუკაძის ინიციატივით, მეღორეობის ფერმის მოსაწყობად, შარშან კოლმეურნეობამ შეიძინა ორი დედალღორი. ამ ღორების ნამატმა 1935 წლის აგვისტოსათვის მიაღწია 27 სულს. ბედუკაძემ გამოიმუშავა 244 შრომა-დღე. 1935 წლის მანძილზე პოლიტსკოლაში მხოლოდ ერთი გაცდენა აქვს. სისტემატურად კითხულობს გაზეთ „კომუნისტს“. დროზე იხდის საწევრო ანარიცხებს და აქტიურად მონაწილეობს სასოფლო საბჭოს საქმიანობაში. ბედუკაძემ და მისი ინიციატივით კოლმეურნეობის წევრებმა, ყველაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფო ვალდებულებანი.

ზონის მეორე ინსტრუქტორი ამხ. ვერძეული ერთეული კომუნისტის ამხ დავითურის შესახებ შემდეგს გვწერს: „ის ბაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, მას უშუალოდ ვუწევ ხელმძღვანელობას, წერა-კითხვა კარგად იცის, მეხუთე წელია, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. კოლმეურნეობა დროზე ასრულებს ყველა სას.-სამეურნეო ხასიათის დავალებას. საშემოდგომო თესვა შეასრულა ვადაზე ადრე, კარტოფილის ვალდებულება — 15 დღით ადრე, შეასრულა, აგრეთვე ხორცის გეგმაც და სხვ. იგი ენერგიულად ზრუნავს თავისი მომზადების დონის ასამაღლებლად. შეისწავლა და შეითვისა პარტიის წესდება და პროგრამა. ამჟამად სწავლობს ამხ. ბერიას მოხსენებას „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“. კოლმეურნეობაში აწყობს გაზეთების ხმამაღლა კითხვას. პარტიული საბუთების შემოწმების შემდეგ მასში ძლიერ გაიზარდა პარტიული პასუხისმგებლობა, სისტემატურად ესწრება თათბირებს, დროზე იხდის საწევრო ანარიცხებს და სხვ.

მიღწევები გვაქვს სხვა ერთეულ კომუნისტებთან მუშაობაშიაც. მოწინავენი არიან ო. ძმისაშვილი (ციხევდავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ლ. ბარათაშვილი (მეზვრიანთკარის კოლმეურნეობა), ქ. ბუჩუკური (დგნალის კოლმეურნეობა) და პ. ციხელაშვილი (მუგუდის კოლმეურნეობა). სტალინური წესდების მტკიცე განხორციელებით და ერთეული კომუნისტების კონკრეტული ხელმძღვანელობით ეს კოლმეურნეობები განმტკიცდნენ მეურნეობის მხრივ, პოლიტიკურად და ორგანიზაციულად. კოლმეურნენი მტკიცედ დაადგნენ შეძლებულობის გზაზე.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზე იყოს. არიან ისეთი ერთეული კომუნისტები. რომელთა მუშაობაც ძალზე მოისუსტებს, ვერ იბრძვიან თავიანთი თეორიული და პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. მაგ, ვანო კბილცეცხლაშვილი ვეძათხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მიუხედავად გაწეული დახმარებისა, ის მაინც ცუდად მუშაობს კოლმეურნეობაში. მოსავლის აღება და საშემოდგომო თესვა ცუდად ჩაატარა, საშემოდგომო ხვნის მთელ პერიოდში ამხ. კბილცეცხლაშვილი ერთხელაც არ ყოფილა მინდვრად გუთანთან. პირუტყვი ცუდად არის მოვლილი. სუსტი მუშაობისათვის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ის მოხსნა თავმჯდომარეობიდან. ის არ ზრუნავს თავისი ცოდნის დონის ასამაღლებლად, არ ესწრება ერთეული კომუნისტების კრებებს, არ იწერს გაზეთს, ვერ ერკვევა პარტიის წესდებაში, პარტსაბუთების შემოწმების დროს არ ჰქონდა გადახდილი რამდენიმე თვის საწევრო.

პეტრე ხოსროშვილი, კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, ერთეული კომუნისტი იყო, რომელიც პარტდოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებით გაირიცხა პარტიიდან პარტიულ საბუთებთან უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის (ორჯერ დაკარგა პარტბილეთი). სანდრო ვეშაგური ზანდურთკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ამ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა. უნდა შეენარჩუნებინათ 8 სული ნამატი, შეინარჩუნეს 4. ვეშაგური არ კითხულობს გაზეთს, არ მეცადინეობს არც პოლიტსკოლაში და არც ინდივიდუალურ სწავლებაში.

ასეთი ერთეული კომუნისტები არც ისე ცოტანი არიან. ზემოაღნიშნული საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა იმ ნაკლზე, რომელიც არის ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის სფეროში. ყოველივე ეს მოწმობს. რომ რაიკომის გამსვლელი ინსტრუქტორები და თვით რაიონული კომიტეტიც ჯერ კიდევ მთლიანად და სავსებით ვერ ჩასწვდნენ ერთეულ კომუნისტთა ცხოვრების დეტალებს და ვერ შესძლეს მათთან პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დაეყენებინათ!

მართალია რაიკომის გამსვლელ ინსტრუქტორებს მთელი რიგი დაბრკოლებები ხვდებათ, მაგრამ ყოველივე ეს აუცილებლად უნდა გადავლახოთ. მტკიცე ბოლშევიკური და კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევით ერთეულ კომუნისტებისთვის, განსაკუთრებით იმათთვის, რომელნიც ჩამორჩენილნი არიან მომზადების მხრივ, ჩვენ უახლოეს ამოცანად დავისახეთ გადაჭრით გავაუმჯობესოთ მათ შორის მუშაობა.

სასურველია სხვა რაიკომებმაც გაგვიზიარონ თავიანთი გამოცდილება, რომ უფრო უკეთესად და ენერგიულად ვიმუშაოთ ერთეულ კომუნისტებთან.

◆

გრიგოლ ცეცხლაძე

აჭარისტანში

მე არ ვიძახი: რა ნახა თვალმა,
მე აჭაური მზრდიდა ჰაერი.
სიყრმიდან მიყვარს ეგ ზღვა, ეს პალმა
ცისდასავალზე ღრუბლის ნაჭერი.

განუსაზღვრელად მსურს მათი ცქერა,
მსურს ყვავილები ნაირ-ნაირი;
ზღვის გუგუნს ერთვის ჩემი სიმღერა,
ეამხანაგა ტალღებს შაირი.

ჩაის ბუჩქებით მოჭადრაკული
შვენის ტაფობი, შვენის ქედები,
ბანანის ჩრდილში ვზივარ და გული
ხარობს, აღვსილი შემოქმედებით.

ბაღებს ფორთოხლის და მანდარინის
როგორ არ უძღვნას პოეტმა ქება;
ლიმონის სურნელს ძალა აქვს ღვინის,
ჩაის ვარდებით ვინ არ დათვრება.

წინადაც ვცნობდი ამ არე-მარეს
მაშინაც ვიყავ მე მოხიბლული,
მაგრამ სილ კბოსთან ვსვამდი სიმწარეს.
სევდით დაჭრილი ტკიოდა გული.

კაეშანს მგვრიდა ტალღების ტაში,
თუმცა მოწაფე ვიყავ პატარა—
ვწუხდი, ვიცოდი—აჭარლებს მაშინ
არ ეკუთვნოდათ მათი აჭარა.

თუმც სიჭაბუკე ხალისს ეძებდა,
გულის სიღრმეში მწვდებოდა მოთქმა.
(იქნებ ჩემს სევდას აორკეცებდა,
რომ აჭარული მქონდა მეც მოდგმა).

რუსთა ხელმწიფის, ოსმალთ სულთანის
აჭარას ახსოვს სუსხი სასტიკი,
ახსოვს ჭრილობა ხიშტის და დანის,
ორ ცეცხლის ალში იწოდა იგი.

ხოჯებს მოჰქონდათ ოსმალეთიდან
ცრუმორწმუნების შავი ღრუბელი,
და სიბეჩავე აჭარას ღრღნიდა
როგორც იარა, როგორც დურბელი,

თვითმპყრობელობის შავი რაზმები
აჭარელს არც კი აგდებდენ კაცად,
დაუზოგველნი, როგორც ძაღლები,
უიარაღოს ჰკბენდენ მამაცად.

აჭარელ გლეხთა დაგრეხილ ბედის
სიმწრის უღელს ქვეშ კვნესდენ დღეები,
კისერზე აწვათ ხარაჯა ბეგის
სძარცვავდნენ, გლეჯდნენ მოხელეები...

კვლავ მენშევიკთა დუხჭირმა ხანამ
ყაჩაღთა ბუდეთ აქცია მხარე.—
ყველა მძარცველი და მუხანათი
აქ თარეშობდა, თითქოს დამხმარე...

მაგრამ მშრომელთა ნაცნობმა ჯანმა
გადაილახა ღამე უკუნი —
და გაიხარა აჭარისტანმა
თავისუფლების ჰიმნის გუგუნით.

უდიადესმა მზემ ოქტომბერის
აალორძინა იმისი ღონე.
ის ეხლა ახალ სიმღერებს მღერის,
თავისუფალი და თავმომწონე.

დღეს აჭარელ გლეხს გული აქვს დიდი.
დაბეჩავებას ვერავინ ჰკადრებს;
წყალმა წაიღო ცრუ რწმენის ხიდი,
აღარ იფარებს გულინე ჩადრებს.

რომ მანათა მანდარინის ხის
და შვენი, მწიფე ნაყოფის კრეფა,
აჭარელ ქალის ურიდო სახის
მზე უღრუბლებო თუ შეედრება!..

დღეს აჭარელი სულ სხვა კაცია,
ახალ ცხოვრებას დაწაფებული,
ეხლა ვარდები და აკაცია
ყვავის რომ მისი ახაროს გული.

წინად თუ თვლიდენ მას ვიგინდარად
თავის საყვარელ ტურფა მხარეში,
ეხლა გათენდა, გამოიდარა,
ბნელი ძალების შეწყდა თარეში.

ახალ ცხოვრების ანათებს კარებს
მზე დამკვრელობის, გამოგონების;
მთებს კომკავშირის რაზმი ახარებს,
რაზმი ვაჟების და გოგონების.

ესენინივით მსურს დავიძახო:
„მეც კომკავშირლებს მინდა გავყვე...“
მინდა ახალ დროს ხელი შევახო,
მინდა ახალი ვისუნთქო სიო.
მე არ ვიძახი: „რა ნახა თვალმა“!
მე მზრდიდა ამ ზღვის ტალღების ტაში,
მაგრამ სხვა სხივით ანათებს, პალმა
დღეს, თავისუფალ აჭარისტანში.

□ □ □

პატარა ფელეტონი

ესე ამბავი მდივნის კაბინეტში

(ჩაწერილი „კომუნისტის“ სპეციალური ბრიგადის მიერ)

კოლია ღლონტი (მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორი): დომენტია, ბიჭო, რას გიგავს ეს კაბინეტი, მილიონერი გავხდით რომ იძახით, შპალერს ვერ გამოაკრავთ ამ ოთახს!

დომენტი შარაშენიძე (ნატანების პარტკომის მდივანი): რეიზა მელაპარაკები ამას, მცალია მე მაგიზა, თუ იცი!

კოლია: რაა ბიჭო ეს? სად გაგიქრავს ბელადების სურათები? ამ პირდაპირ ჩენილ კედელში ხომ შემოაწვიმებს, ხომ სულ ჩამორეცხავს მაგ სურათებს, „რამკაში“ ქე მაინც ჩაგესვა!

დომენტი: ვიზამ, ვიზამ.

კოლია: ახი არ იქნება, ახლა ეგენმა (უთითებს „კომუნისტის“ ბრიგადის წევრებზე) რომ გაგწერონ გაზეთში?!

დომენტი: რავა გამწერენ კაცო! აი აგერ რომ არის, ცხემლისხიდელია, შენ არ თქვი!

კოლია: მერე?

დომენტი: მერე, ცხემლისხიდელი კაცი მე გამწერს? აი, ჩვენი ყურის მეზობელია?..

კოლია: მაი თვირ გაგწერს, სხვაი გაგწერს! არ ხარ ღირსი თუ?

ბრიგადის წევრი (მიმართავს პარტკომის მდივანს)... მგონი გაგაცანით ჩვენი მოსვლის მიზანი. მაშ შევუდგეთ საქმეს!

დომენტი: ახლავე, აგერ ცოტა მანდარინსაც მოვატანიებ, პირი გავისოლოთ...

ბრიგადის წევრი: მაშასადამე, სტახანოვს და სტახანოველთა მოძრაობას ამ თემში მთელი აქტივი კარგად იცნობს!

დომენტი: სტახანოვს, რავა არა კაცო! ალექსანდრე სტახანოვს? როვა გეკადრება. იცნობს კი არა...

კოლია (ჩაერევა): ბიჭო სტრახანოვი კი არაა, სტახანოვია.

დომენტი: ჰო! სტრახანოვი, დიახ!

კოლია (ნერვიულობს): „რ“ არ უნდა კაცო, სტა-ხა-ნო-ვი... გეიმეორე!

დომენტი: დასწყევლოს ღმერთმა, ჰო, სტახანოვი, დიახ, ალექსანდრე!

ბრიგადის წევრი: ალექსანდრე ბუსიგინს ჰქვია, სტახანოვს კი ალექსი.

დომენტი: ჰო! მართლა ალექსანდრე—მუსლიგინს ჰქვია, როვა დამავიწყდა.

კოლია: მუსლიგინს კი არა, იგი არა გრნდა? ბუსიგინს კაცო. ბუ-სი-გინს.

დომენტი (ჯიბიდან იღებს გაზეთს, რომელშიაც მოთავსებულია ბელადის სიტყვა სტახანოველთა თათბირზე და კითხულობს): აი გაზეთი ქე დამქექია ჯიბაში და რაღაა... რამდენჯერ მევენდომე წაკითხვა, მარა დამაცლიან?

ბრიგადის წევრი: მარია დემჩენკოსაც იცნობენ ალბათ...

დომენტი: რავა არა კაცო! სულ ყველა კოლმეურნე იცნობს... აი იგი რომაა ხომ, ჭარხალი რომ ამასჭა, როვა არა, მარია დემიჩენკო.

ბრიგადის წევრი: დემჩენკო! მარია დემჩენკო!

დომენტი: დასწყევლოს ღმერთმა! როვა მეშლება...

ბრიგადის წევრი: სტახანოველები ალბათ, თქვენც გყავთ აქ, ნატანებში!

დომენტი: როვა არა, კაცო!

ბრიგადის წევრი: რით განსაზღვრავთ მაგალითად სტახანოველობას, რა მაჩვენებლის მიხედვით?

დომენტი: მაი იგაა, რომელიც რომ... მაგის ნორმას, რომ გამოვეკიდოთ და დავეწიოთ, მაი ყოვლად შეუძლებელია... გავწყდებით წელში!

მიშა ღლიჯვა (ტერიტორიული პარტორგანიზაციის პარტორგი): მაი იგაა სტახანოველი რომ... უსინდისობას რომ არ ჰკადრებს მუშაობაში.. მაგისთანები იმდენი მყავს რომე!

ბრიგადის წევრი: სად გყავთ?

მიშა: მაგალითად, აი ჩვენს საწარმოებში, მაგალითად, სახარაზოში, სამკერვალოში.

ბრიგადის წევრი: ძალიან კარგია, მაგრამ ვერ გვეტყვით კონკრეტულად, რაში გამოიხატება მათი სტახანოველობა?

მიშა: როვა არა! აი მაგალითს ვიღებ სახარაზოდან — გუშინ შემოვიდა სახარაზოში კაცი და ერთ მუშას სთხოვა—წუღა დამიკერეო. მან უთხრა: ტყავი არ მაქვს, რა დაგიკეროო იქვე წამოდგა მეორე მუშა და უთხრა: მომეცი აგერ, მე დაგიკერებო. და დაუკერა კიდეც. ამისთანები რამდენია??

ბრიგადის წევრი (პარტორგანიზატორს): თქვენ პირადად თუ იცნობთ საუკეთესო სტახანოველებს თქვენი სოფლის კოლმეურნეობიდან? იქნებ გვეტყვით რასმეს მათი მუშაობისა და მაჩვენებლების შესახებ.

დომენტი: ე, ბიჭო, სევასტია, გეიქეცი, დოუძახე ერთი ბუღალტერს... სახვა მაქანაი იქნება...

ბრიგადის წევრი: ნუთუ თქვენ თვითონ ვერ გვეტყვით უბუღალტეროდ,— ვინ არიან თქვენი კოლმეურნეობის საუკეთესო ადამიანები — ახალი ეპოქის ახალი ადამიანები?

დომენტი: ამ მინუთში მეუა ბუღალტერი!.. მანამდე მანდარინა მიირთვით!

რაიონებში

ფუთი სიმინდი შრომა დღეზე

ცხაკაიას რაიონის სოფ. მენჯის ამხ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის ყველა წევრი ენერგიულად იბრძოდა მოსავლის გადიდებისათვის. შედეგი საუკეთესო მიიღეს. შარშან კოლმეურნეებს შრომადღეზე 6 კილოგრამი სიმინდი ხვდათ, წელს მიიღეს 16 კილოგრამი.

სიმინდის გარდა კოლმეურნეობამ წელს სოიას დიდი მოსავალი აიღო. შრომადღის ღირებულებამ საგრძნობლად იმატა.

იპ. ხუხუა

□

ჩაის და ციტრუსების დამკვრელები

ჩაქვის საცდელ - საგამოკვლევო ფილიალმა ჩაის და ციტრუსების პლანტაციებს წელს სანიმუშოდ მოუარა. გეგმით გათვალისწინებულ 25 ტონა ჩაის ნაცვლად მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 34 ტონა. ამ რაოდენობიდან პირველი ხარისხისაა 99,8 პროცენტი.

ფილიალი ყოველმხრივ მომზადებული ხვდება მანდარინის უხვი მოსავლის აღებას. აქ 700.000 ცალი მანდარინი უნდა მოიკრიფოს. ამისათვის მზად არის საწყობები, კალათები, გოდრები, სეკატორები. გამოყოფილია მკრეფავთა სპეციალური ბრიგადა. ბრიგადის ყველა წევრმა გაიარა გადასამზადებელი კურსები.

ფილიალი დიდ მუშაობას ეწევა, ერთვე კოლმეურნეობებში ქიმ ლაბორატორიების მოსაწყობად. ფილიალის მეცნიერული მუშაკების ხელმძღვანელობით ამხ. ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობაში სანიმუშო ლაბორატორია მოეწყო.

დ. ფაილოძე

□

მუშაობა გააჩაღეს

ჩოხატაურის რაიონის სოფ. ლესიჭინის კოლმეურნეობებმა გააჩაღეს მუშაობა ჩაის საშემოდგომო—საზამთრო სამუშაოთა გეგმის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

სას.-სამ არტელი „მურიცხი" ჩაისათვის ნიადაგის მომზადების ყოველდღიურ ნორმებს 15-20 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს. 3 ჰექტარის გადაბარვას აქ ათ ორ დღეში დაამთავრებენ.

აღნიშნულ კოლმეურნეობის წევრებმა წელს შრომადღეზე ფულად 7 მანეთამდე მიიღეს.

კ. დგებუაძე.

□

თავდადებული მუშაობის შედეგი

გასულ წლებში ნიგვზიანის (ლანჩხუთის რაიონი) კოლმეურნეობა ჩამორჩენილთა რიგებში იყო. მოუწესრიგებელი იყო აღრიცხვა, დაცემული იყო შრომის დისციპლინა, გეგმები ვერ სრულდებოდა, საკოლმეურნეო ქონებას არ უფრთხილდებოდნენ.

ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ წელს მდგომარეობა გამოსწორდა. კოლმეურნეებმა დიდი ხალისით მოჰკიდეს საქმეს ხელი და დაიწყეს ბრძოლა მოსავლის გადიდებისათვის.

შარშან კოლმეურნეებმა შრომადღეზე 1 კილოგრამი და 560 გრამი სიმინდი და ფულად თითო მანეთი მიიღეს.

წელს მოსავალი გაცილებით მეტი მოვიდა. წინასწარი გამოანგარიშებით ახლა შრომადღეზე 8 კილოგრამი სიმინდი და ფულად 7 მან. და 50 კაპ. მოდის. აქედან წევრებს უკვე მიღებული აქვთ ავანსები.

მ. დოლიძე.

„პლატონ კრეჩეტი" რუსთაველის თეატრში

აკ. ვასაძე

პირველი ნაბიჯი ახალ ეტაპზე

დადგა პირველი პრემიერის გაშვების დრო. რეპეტიციები უკვე ნერვიულად, მაგრამ ხალისიანად მიმდინარეობს. რეჟისორი ისწრაფის განახორციელოს მაქსიმუმი თავის ჩანაფიქრებისა. მსახიობი ამოწმებს თავის შესაძლებლობას, იგი მარტის დღესავით ხან მოღიმარია, ხან კი მოღუშული. ახალი სახე ხან ახარებს, ხან ანერვიულებს.

მხატვარი შფოთავს, ყოველ წვრილმანს ჩაკირკიტებს; ესკიზში, მაკეტში: ფერი ერთი, მაშტაბი ერთი; სცენაზე ფერი სხვა გამოდის, მაშტაბი სხვა, სინათლე სხვა... კომპოზიტორი, დირიჟორი, ორკესტრი..., წუთიერი დაეჭვება, წუთიერი სიხარული და ამ აბობოქრებულ გრძნობათა ტალღებში ამ უცნაურ გემს მართავს დამდგმელი, რომლის ნებას ყველა ემორჩილება, ვიდრე ფარდა გაიშლება: აქ კი სპექტაკლის მთავარი გვირგვინი—მსახიობი ბრძანებლობს და ყველა მისგან არის დამოკიდებული: ავტორი, რეჟისორი, მაყურებელი,—მაყურებელი, რომლისთვის მზადდება ყოველივე.

და განა მარტო თეატრი ემზადება?! მაყურებელი შეუმჩნევლად, მაგრამ ისიც დიდ მზადებაშია, განსაკუთრებით თანამედროვე მაყურებელი, ჩვენი ძვირფასი მაყურებელი, რომელსაც სწყურია ახალი ნახოს, ახალი შეითვისოს, რომელსაც ხელოვნება მარტო გართობისათვის და სალამაზის პერეტისათვის კი არ უნდა, არამედ სურს იმითაც იცხოვროს და თავის სიცოცხლე გაახალისოს, გაამშვენიეროს.

თუ ყველაფერი ეს ყოველ თეატრის ცხოვრებაში ჩვეულებრივი ამბავია, რუსთაველის სახელობის თეატრში განსაკუთრებით დღეს, მისი გარდაქმნის ეტაპზე, ახალი პრემიერა დიდი პასუხისმგებლობის შეგრძნების ნიადაგზე იბადება და იგი ჩვენთვის არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

არაჩვეულებრივს, ვინაიდან პირველი ნაბიჯი ბევრი რამის მთქმელია. პირველი პრემიერა ჩვენი პირველი სიტყვაა საქმით გამოთქმული, რომელმაც მომავლის პერსპექტივა უნდა გადაგვიშალოს. აქედან გასაგებია რუსთაველელთა მღელვარება და ჩვენი საზოგადოების დიდი ცნობისმოყვარეობა. ამ დიდ ინტერესს ჩვენ ვფიქრობთ დავაკმაყოფილებთ; ამ იმედს და რწმენას გულში გვიღვივებს უპირველესად ჩვენი მოძმე, უკრაინის რესპუბლიკის ნიჭიერი ახალგაზრდა დრამატურგი ალ. კორნეიჩუკი, რომლითაც ჩვენმა თეატრმა არა თუ მარტო დრამატურგი შეიძინა, არამედ თანამედროვე ადამიანი და თანამებრძოლი. ამ რწმენას კიდევ უფრო გვიმტკიცებს დიდი ყურადღება და ზრუნვა საქ. კომუნისტური პარტიის და ხელისუფლების მხრიდან.

ამ რწმენის საბუთს გვაძლევს ისიც, რომ „პლატონ კრეჩეტის" დამდგმელ—შტაბს—ჩვენი საუკეთესო ამხანაგი, რეჟ. შოთა აღსაბაძე მეთაურობს, რომელმაც თვენახევარში მოამზადა და ჩაგვაბარა ფრიად საპასუხისმგებლო წარმოდგენა; ჩვენ კი მსახიობები მაყურებლის სიყვარულით გამხნევებულნი, თამამად წარვსდგებით საბჭოთა საზოგადოების წინაშე და შემოქმედების იმ წუთიერ თრთოლვას, რომელიც წარმოდგენის ღამეს ბევრგან გაიღვებს, — ერთ დიდ თაიგულად შევკრავთ და ნიშნად ნდობისა, პატივისცემისა, სიყვარულისა და მადლობისა მივუძღვნით ჩვენი ეპოქის უდიდეს ადამიანის — ხალხის საუკეთესო მოწაფეს — ამხ. ლავრენტი ბერიას.

მხატ. ს. ქობულაძე.



„პლატონ კრეჩეტი" რუსთაველის თეატრში. მე-3 აქტის მეოთხე სურათის დეკორაციის მაკეტი.

დღეს, 9 დეკემბერს, რუსთაველის თეატრი გვიჩვენებს თავის პირველ ახალ დადგმას მიმდინარე სეზონში, ა. კორნეიჩუკის პიესას „პლატონ კრეჩეტი".

პიესას დგამს რეჟისორი შ. აღსაბაძე, მხატვარი — ს. ქობულაძე, მუსიკა — ი. ტუსკიასი.

პიესისათვის შერჩეულია შემსრულებელთა ორი შემადგენლობა: პლატონ კრეჩეტს თამაშობენ აკ. **ხორავა** და **გ. დავითაშვილი**, ბერესტს — **აკ. ვასაძე** და **ელ. ლორთქიფანიძე**, ლიდას — **თ. ბაქრაძე**, და **ლაფაჩი**, მარიამს — **ნ. დავითაშვილი**, არკადის — **დ. მჟავია** და **გ. სალარაძე**, ბუბლიკს — **ემ. აფხაიძე** და **გ. სარჩიმელიძე**, ვალიას — **მ ჯაჯანაშვილი** და **რ. ბერიძე**, სანიტარ ქალს — **ნ. ჯავახიშვილი**.

„პლატონ კრეჩეტის" დადგმის გამო თეატრმა მისასალმებელი დეპეშები მიიღო უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ამხ. **სენჩენკოსაგან**, შევჩენკოს სახელობის ხარკოვის სახელმწიფო თეატრისაგან და მოსკოველ თეატრალურ კრიტიკოს **იუზოვსკისაგან**.

პრემიერაზე დასასწრებლად ჩამოვიდა პიესის ავტორი ამხ. ა. **კორნეიჩუკი**.

აკაკი ხორავა

„პლატონ კრეჩეტი" ჩვენს თეატრში ახალი შემოქმედებითი ხაზის მომასწავებელია. ეს ხაზი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვიწყებთ ცოცხალი ადამიანის ჩვენებას მისი შინაგანი ემოციური ბუნების გამომჟღავნებით, წინათ კი ეს ჩვენება სახის გარეგნულ სურათს არ სცილდებოდა.

პიესაში მე ვთამაშობ კომუნისტ პლატონ კრეჩეტის როლს. კრეჩეტი ახალგაზრდა ქირურგია, თამამი, ექსპერიმენტატორი, რომელიც როგორც თვითონ აცხადებს, ცდილობს „სამუდამოდ მოსპოს ნაადრევი სიკვდილი, წაართვას სიკვდილს დრო, დაუბრუნოს მომავალ თაობებს მილიონი მზიანი დღეები".

ამ მიზნის მისაღწევად ის არავითარი დაბრკოლების წინ არ იხევს უკან, მთელი მისი მოქმედება მასში ააშკარავებს ძლიერი ნებისყოფის და გაბედული აზრის ადამიანს, თამამს, პირდაპირს, კრეჩეტი აღგზნებული, შორსმჭვრეტელი, შემოქმედებითი მიზანდასახულობის ადამიანია და ამაშია მისი მიმზიდველობა. კრეჩეტი მესმის როგორც ბრძოლა, თავდადება, წინსვლა.

ბევრი როლი მითამაშნია ახმეტელთან, მაგრამ არასოდეს ისეთი შემოქმედებითი სიამოვნება არ მიგრძნია, როგორსაც ახლა განვიცდი კრეჩეტის როლზე მუშაობისას. ბოლოს მე ვთამაშობ ადამიანს, რომელმაც ჩემში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ასეთი შემოქმედებითი აღტკინება არ მიგრძნია არც „ანზორში", არც „ყაჩაღებში".

შოთა აღსაბაძე

ცნობილია, რომ რუსთაველის თეატრი მასალას თავის შემოქმედებისათვის ეძებდა მთიელთა ყოფაცხოვრებაში. აქედან გამომდინარეობდა ის გარეგნული ზედმეტი მოძრაობა, გარეგნული დატვირთვა, გადაჭარბებული ტრაგიზმი, ზედმეტი ემოციალობა, რომელიც რუსთაველის თეატრის დადგმებს ახასიათებდა.

ეს ხერხი ასე თუ ისე გამოსადეგი თუ იყო ქართულ დრამატიულ ნაწარმოებებში, ის სრულიად უვარგისი აღმოჩნდა რუსული პიესებისათვის. ამით აიხსნება „მაისტერის" და სხვათა ჩავარდნა. იმ გზამ, რომელსაც თეატრის ძველი ხელმძღვანელობა ადგა, შეზღუდა მსახიობის განვითარება, ამ გზას აქტიორი ერთფეროვნებისაკენ მიჰყავდა.

„პლატონ კრეჩეტში" ჩვენ შევეცადეთ დაგვეძლია ეს მცდარი მეთოდი. ამისათვის დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიხდა თვით საკუთარ წრეში, რადგან ძლიერია ტრადიცია, ადვილი არ იყო მისი ერთბაშად გადალახვა. ამიტომ შეიძლება აქა იქ ჯერ კიდევ თავი იჩინოს ძველი მეთოდის რეციდივებმა, მაგრამ შემდგომ მუშაობაში ჩვენ მას უთუოდ დავძლევთ.

პიესაზე მუშაობის დროს მე ვცდილობდი გამოვსულიყავი არა პირადულიდან, პიესის გმირთა სუბიექტიური განცდებიდან, რადგან ეს გზა დაგვაშორებდა საერთო მიზანს — სოციალური მოტივების აჟღერებას სცენაზე. მე გამოვდივარ საერთოდან, ზოგადიდან, ჩვენ არ ვავიწროვებთ პიესის ფარგლებს, პირიქით, ვცდილობთ ფართო პერსპექტივა, მოვნახოთ, ღრმა ოპტიმიზმით გავჟღენთოთ პიესის ყველა სცენა, ლირიულიც და დრამატიულიც.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ძირითადად რეალისტურია, ფართო, ლაღი, მზიური, ისევე, როგორ მზიურია მთელი ჩვენი ცხოვრება, პლატონ კრეჩეტის და მისებრი გმირების მისწრაფება და ბრძოლა.

გ. გუგუნავა

ახალი გზით

მიმდინარე წლის ზაფხულზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რუსთაველის თეატრის ორგანიზაციული და შემოქმედებითი მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნის შესახებ.

გავიდა სამი თვე... რუსთაველის თეატრის კოლექტივი არა თუ არ დაიღუპა, არამედ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე მან ახალ, დიდ წარმატებებს მიაღწია.

თეატრიდან წასულმა ხალხმა ვერ გაიგო და ვერ შეაფასა ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. **სტალინის** სიტყვები იმის შესახებ, რომ... **„დაბოლოს უნდა შევიგნოთ, რომ მსოფლიოში არსებულ ყველა ძვირფას კაპიტალიდან ყველაზე ძვირფასი და ყველაზე გადამწყვეტი კაპიტალი ადამიანები, კადრები არიან. უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენს ახლანდელ პირობებში კადრები სწყვეტენ ყველაფერს".**

და სწორედ თეატრის ეს კადრები სწყვეტენ ახლა თეატრის შემდგომი წინსვლის საკითხს და ბრწყინვალედაც სწყვეტენ. ახალი პრემიერა „პლატონ კრეჩეტი" თეატრის კოლექტივის და მისი მხატვრული კოლეგიის მუშაობის პირველი პრაქტიკული ნაბიჯია.

უკრაინელ დრამატურგის კორნეიჩუკის ამ პიესის დადგმა შემთხვევითი როდია. თეატრის კოლექტივმა თავის სცენაზე შექმნა სახე ახალი ადამიანისა, რომელიც ჩვენი ეპოქის უდიდესი იდეებით არის გამსჭვალული.

პლატონ კრეჩეტი თავის თავს პროლეტარული რევოლუციის „მომქმედ ინსტრუმენტს" უწოდებს. მასში მკვეთრად არის მოხაზული საბჭოთა ინტელიგენტის ახალი თვისებები. ის ახალი, არაპარტიული პროლეტარული ინტელიგენციის წარმომადგენელია.

სწორად გაიგო თუ არა პიესის მთავარი გმირი ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა შ. აღსაბაძემ?

ჩვენ გვაქვს ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ ახალი ადამიანის სახე სწორად არის მოცემული. „პლატონ კრეჩეტის" დადგმას მოსკოვის სამხატვრო თეატრში და ახლა რუსთაველის თეატრში დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

„პლატონ კრეჩეტი" მოწმობს ჩვენი საბჭოთა დრამატურგიის დიდ ზრდას. და მისი ქართულ სცენაზე გადატანა ღრმა ინტერნაციონალობის მაჩვენებელია.

რუსთაველის თეატრი მთელ თავის საწარმოო პრაქტიკას საფუძვლად უდებს დიდი **სტალინის** სიტყვებს, რომ „ცხოვრება უკეთესი და უფრო საამური გახდა". ამ საფუძველზე შენდება მთელი რეპერტუარი, რომელშიაც შეტანილია სხვადასხვა ჟანრის პიესები: დრამა, კომედია, ისტორიული პიესები კლასიკური მემკვიდრეობიდან და თანამედროვე ქართველი დრამატურგების ახალი ნაწარმოებები.

ი. ტუსკია

„პლატონ კრეჩეტის" მუსიკაზე მუშაობის დროს მე მიზნად ვისახავდი ორგანიულად შევთვისებოდი რეჟისორის განზრახვას და მუსიკალურად გამეხსნა პიესის სახეები.

„პლატონ კრეჩეტის" მუსიკა მხნე, ტემპერამენტიანი,- იწყება მაჟორული ლირიკით და გადადის გმირულ თემაში.

მე ვცდილობდი ვყოფილიყავი არა უბრალო ილუსტრატორი, არამედ მუსიკა სახეების და ხასიათების გახსნის ერთერთ საშუალებად გამეხადა.

▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽

ანტიკური ეპოქის ძეგლები კოლხეთში

მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც მუშაობს აფხაზეთში საქართველოს ცაკთან არსებული კულტურის ძეგლების დაცვის კომიტეტის დავალებით, გაეცნო კოლხეთის დაბლობების არქეოლოგიურ ძეგლებს. ექსპედიციამ გამოიკვლია ისტორიული ძეგლები ფოთის, მდ. კაპარჭის, სადგ. ქვალონის, ცაიშის და სხვ რაიონებში.

კომიტეტისათვის წარდგენილ წერილში დასმულია საკითხი არქეოლოგ ანა ამირანაშვილის მიერ 1933—34 წლებში ქვალონში წარმოებული არქეოლოგიური მუშაობის განგრძობის აუცილებლობის შესახებ და ზუგდიდის მუზეუმის მიერ ანაკლიის მახლობლად წელს დაწყებული გათხრების განახლების საკითხი. მითითებულია აგრეთვე გამოკვლევების განგრძობა კოლხეთის მრავალრიცხოვანი სამარხების გასათხრელად.

კოლხეთის დაბლობების ძეგლების დაწვრილებითი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ წინაკლასობრივი ისტორია კოლხეთში შავი ზღვის სანაპიროების ბერძნული კოლონიზაციის ეპოქამდე. ამ პერიოდის შესახებ კი ნაკლებად არსებობს მასალა და ისიც ეყრდნობა მხოლოდ ბერძნულ გადმოცემებსა და ლეგენდებს.

ანტიკური ეპოქის ძეგლების შესწავლიდან (სადგ. ქვალონის ახლოს, სოფ. ნაჭკადუს მახლობლად, ოჩემჩირესთან და სხვ.), შესაძლებელი გახდება შევამოწმოთ კოლხეთში საზოგადოებრივი ფორმების განვითარება ბერძნების და შემდეგ რომაელების კლასობრივი საზოგადოების გავლენით.

კოლხეთში არქეოლოგიურ მუშაობას შეუძლია მოგვცეს აგრეთვე უხვი მასალა ადგილობრივი ცხოველების და მცენარეების ისტორიის და უკანასკნელი 4—5 ათასი წლის განმავლობაში მიმდინარე გეოლოგიური პროცესების შესახებ მეცნიერებისათვის.

კოლხეთში წარმოებული არქეოლოგიური მუშაობის შედეგად მიღებული მასალა ძალიან ძვირფასი იქნება აგრეთვე მთელი ამიერ-კავკასიის და მთელი კავკასიის ისტორიის შესწავლისათვისაც კი.

ბიბლიოგრაფია

გ. გოზალიშვილი 1832 წლის შეთქმულება.

ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, ტ. I, 1935 წ.

სარეცენზიო წიგნი არ წარმოადგენს გამოკვლევას, მეცნიერულად დამუშავებულ ნაყოფს, ის 1832 წ. შეთქმულების ოფიციალურ საარქივო მასალებს შეიცავს. ეს მასალები გამოქვეყნებულია დაუმუშავებლად, უკომენტაროდ.

წიგნში გამოქვეყნებული დოკუმენტები არ წარმოადგენენ პირველ წყაროებს, არამედ 1832 წ. შეთქმულების მონაწილეთა დაკითხვებს შეიცავენ. ამდენად წიგნი წარმოადგენს დამხმარე, მეორეხარისხოვან მასალებს შეთქმულების გასაშუქებლად. გაცილებით უფრო მიზანშეწონილია კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტების, შრომებისა და სხვათა გამოყენება, ვიდრე გ. გოზალიშვილის ნაშრომით სარგებლობა.

დოკუმენტები მოკლებულია საგნით და სახელთა საძიებელს. ცუდადაა შესრულებული დოკუმენტების თარგმანი, უამრავია კორექტურული და სტილისტური შეცდომები.

წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს: „წიგნში მრავალი კომენტარიების შეტანას განგებ მოვერიდე: ეს წიგნს უსარგებლოდ დაამძიმებდა"-ო უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტების ასე გამოცემა გაუმართლებელია. კლასთა ბრძოლის ისტორიის გაშუქებისათვის ღრმა მარქსისტული ანალიზია საჭირო.

1832 წლის შეთქმულების შესახებ ავტორი შესავალში ამბობს: „წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს მოძრაობა განმეორება თუ არა უეჭველი გამოძახილია მაინც საერთოდ იმ დროის ევროპაში გავრცელებული ლიბერალური იდეებისა, კერძოდ კი რუსეთში დეკაბრისტების მოძრაობის უახლოესი შედეგიაო" (გვ. 3). ნამდვილად კი 1832 წ. შეთქმულება ქართველი ფეოდალური კლასის უკანასკნელი ცდა იყო ნაციონალური არისტოკრატიის ძველი სამემკვიდრეო უფლებების რესტავრაციისათვის.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი სერიოზული ნაკლი რატომღაც შეუმჩნეველი დარჩა უნივერსიტეტის საქ. ისტორიის კათედრისათვის.

გ. გოზალიშვილის წიგნი არ გამოდგება დამხმარე სახელმძღვანელოდ.

ზაქ. რამიშვილი.

სადოქტორო დისერტაციის დაცვა

1935 წლის 26 ნოემბერს სატყეო-ტექნიკურ აკადემიაში (ლენინგრადი) აკადემიის საბჭოს სხდომაზე ტფილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტისა და სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალის ბოტანიკური ინსტიტუტის პროფ. **ვახტანგ ზაქარიას-ძე გულისაშვილმა** საჯაროდ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ალპური სუბალპური და ტყის ზონების ნიადაგის ფიზიკური თვისებები, მათი წყალსაცავი მნიშვნელობა და ცვლილებანი სატყეო - სამეურნეო ღონისძიებათა ზეგავლენით".

ოფიციალურ ოპონენტებად მოწვეულნი იყვნენ: საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის წევრი — კორესპონდენტი პროფ. **ვ. ნ. სუკაჩევი**, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების დოქტორი პროფ. **ნ. პ. კობრანოვი** და ბიოლოგიური მეცნიერების დოქტორი პროფ. **ი. ვ. ტიურინი**. ოპონენტებმა აღნიშნეს დისერტაციის დიდი სამეცნიერო ღირებულება, საკითხის ორიგინალობა და დასკვნების მნიშვნელობა ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის. ერთხმად მიღებული დადგენილებით დისერტანტს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების დოქტორის ხარისხი.

აკადემიის საბჭომ აღნიშნა, რომ პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი საბჭოთა კავშირის მეტყევეებს შორის პირველია, რომელმაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. საბჭომ დაადგინა: სადისერტაციო ნაშრომი დაიბეჭდოს.

□

შემთხვევები

აფერისტობა. კიროვის რაიონის შემნახველ სალაროში შეიპყრეს გ. დ. რაზმაძე (ჩელუსკინელთა ქ. 33), რომელიც ყალბი მიმართვით ცდილობდა სესხების ხელშემწყობი კომისიის სტანდარტული ოქმების ბლანკების მიღებას ობლიგაციების გაყიდვის უფლებისათვის. გამოძიება სწარმოებს.

გაუფრთხილებლობის მსხვერპლი. საბარგო ავტომანქანა № 19—94, რომელსაც მართავდა შოფერი პ. ფ. ბეზვესილოვი, ბრძოლის ქუჩაზე დაეჯახა მოქ. ი. ო რუსიშვილს (გორის ქ. 3). რუსიშვილი გარდაიცვალა. შოფერი შეიპყრეს.

ხულიგნების დაპატიმრება. სიმთვრალის დროს ჩხუბის და მოქალაქეთა შეურაცხყოფისათვის დააპატიმრეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს: ი. გ. გარაყანიძე (ერისთავის ქ. 14), დ. დ. სახარულიძე (საბურთალოს ქ. 19) და ვ. გძელიშვილი (ჩუღურეთის ქ. 27).

□ □ □

ჩვენ გვწერენ

„უფროსის ღორსაც პატივისცემა უნდა"

ნამდვილი ამბავია: ნორიო-მარტყოფის ტყის უფროსმა მცველმა კოლა კანდელაკმა ღორი შეიძინა, მაგრამ მისი შენახვა გაუჭირდა, ღორის გასუქება ადვილი არ იყო. კანდელაკმა ეს თავის ხელქვეითს, ტყის მცველ არტო სომხიაშვილს აგრძნობინა. არტო მიხვდა, რომ უფროსის ღორსაც პატივისცემა უნდა და თადარიგს შეუდგა. გლეხებს დაუარა და უთხრა: მთავრობის განკარგულებით წიწიბო უნდა შევაგროვოთო. გლეხებმა ეს „განკარგულება" შეასრულეს.

მალე სოფელში ხმა დაირხა: ჩვენს მიერ შეგროვილი წიწიბოთი კოლა კანდელაკს თავისი ღორი გაუსუქებიაო. არტო სომხიშვილიც საგონებელში ჩავარდა და ხიფათიდან თავის დაძვრენა ამგვარად სცადა: მთავრობის განკარგულება კარგად არ გაგვიგია, თურმე სხვა დავალება მოეცათო.

ნუთუ მას ჰგონია, რომ დაუჯერებენ?

მეთვალყურე.

□

იძულებითი მუშაობა ვინ მომისაჯა

მეოთხე წელია ტყიბულში ვმუშაობ საქ. რადიოკომიტეტის რწმუნებულად. მიმდინარე წელს ხელფასს არ მაძლევენ. რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ს. მერკვილაძემ მითხრა:

— მე არ მჭირდება ადგილობრივი გადაცემა. ვისაც სჭირიხარ, ხელფასიც იმან მოგცესო.

რადიოგადაცემისათვის გათვალისწინებული 9.000 მან. რაიაღმასკომმა რადიოფიკაციისათვის გადასდო.

პარტრაიკომში მითხრეს: მუშაობა არ მიატოვო, თორემ პასუხისგებაში მიგცემთო.

უცნაური ამბავია: სასამართლოს ჩემთვის იძულებითი მუშაობა არ მოუსჯია და უსასყიდლოდ რად მამუშავებენ?

ალ. ჯიშიაშვილი.

ვივაჭროთ კულტურულად

ტფილისში არის შემთხვევები საბჭოთა კულტურული ვაჭრობის დამახინჯებისა.

მაგალითად, „რეზინოსბიტის" პირველ მაღაზიაში (სოლოლაკის ქუჩა) სრული უწესრიგობაა. „რეზინოსბიტის" მმართველმა ამხ. ქალანთაროვმა და მაღაზიის გამგემ ამხ პეტროსიანმა რიგში წესრიგის დაცვისათვის კიროვის რაიმილიციას სთხოვეს მილიციონერები, მაგრამ მილიციის სამმართველოს დღემდე სამისოდ არაფერი გაუკეთებია.

მაღაზიის ადმინისტრაცია სუსტად იბრძვის გადამყიდველების წინააღმდეგ.

ასეთივე მდგომარეობაა „სოიუზკოჟსბიტის" ფეხსაცმლის მაღაზიაში № 7 (პლეხანოვის ქ.). აქ სპეკულანტებისათვის მაღაზიის კარი ფართოდ არის გაღებული. როგორც სურთ, ისე თარეშობენ ისინი. მათ წინააღმდეგ მაღაზიის ადმინისტრაცია არ იღებს გადამჭრელ ზომებს. სამწუხაროდ, არც სტალინის რაიმილიცია იწუხებს თავს სპეკულანტების წინააღმდეგ ბრძოლით.

ვანო ბერძენიშვილი

□

კავშირგაბმულობა ცუდად მუშაობს

— იცით თუ არა თქვენ, რომ მიმდინარე წლის საბჭოების კონკურს-შეჯიბრებაში შეტანილია აგრეთვე საუკეთესო საფოსტო განყოფილება ხელის მომწერლებისთვის ჟურნალ-გაზეთების საუკეთესო ჩაბარების დარგში? — ვეკითხებით წალენჯიხის კავშირგაბმულობის განყოფილების გამგის მოადგილეს ამხ. კალანდიას.

— კონკურსის შესახებ ცირკულარი და ინფორმაცია არ მიგვიღია და ამიტომ ამ მიმართულებით დღემდე არავითარი მუშაობა არა გვქონია — გვიპასუხებს ის.

წალენჯიხის რაიონში, საფოსტო განყოფილებები ცუდად მუშაობენ. ჟურნალ-გაზეთები ხელმომწერლებს არ ურიგდებათ. საფოსტო ხაზები უვარგისია, სოფელ ფუქის კომკავშირის ორგანიზაცია 100 ცალი გაზეთის ნაცვლად 80 ცალს იღებს. ასეთივე მდგომარეობაა ობუჯში, ჯგალში და თითქმის ყველა საფოსტო განყოფილებაში.

კავშირგაბმულობის რაიგანყოფილებამ დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნას მუშაობა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმიანობა მაღალ საფეხურზე დააყენოს.

შალ. ზარქუა.

ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრი

დღეს 1 აბონ. 5 წარმოდგ. ალი	10 დეკემბერს 2 აბონემ. 5 წარმოდგ. ფერენჯი	11 დეკემბერს 4 აბონემ. 5 წარმოდგ. ქეთო და კოტე

ყველა აბონემენტისტთვის სავალდებულოა მეხუთე შემოსატანის გადახდა.
მზადდება დასადგმელად „ბოშების ბარონი" და „რახილი"

რუსთაველის თეატრი 1935—36 წლის სეზონი

დღეს რკ. გზის 7 აბონ. 3 წარმ. პლატონ კრეჩეტი	10 დეკემბერს მედინსტიტუტის 10 აბონ. 2 წარმ. პლატონ კრეჩეტი	11 დეკემბერს სახუნივერსიტეტის 14 აბონ. 2 წარმოდ. ანზორ

მესამე წარმოდგენის ნახვისას მეოთხე გადასახდელი აუცილებლად შეტანილი უნდა იყოს.
სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათ.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

9 დეკემბერს წარმოდგ. № 37	ჩატეხილი ხიდი
10 დეკემბერს წარმოდგ. № 38	ჩატეხილი ხიდი

დასაწყისი საღ. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

სახკინმრეწვის თეატრები

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვ. ფილმი „აეროგრადი" პროგ. გარეშე ჟურნალი № 30
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11 ფოიეში სიმებ. ორკესტრი	ახალი ხმოვანი ფილმი „არშაულა"
ქრონიკის თეატრი ახალი ამბები სეანსები 6 საათიდან	1. ხმოვანი ჟურნალი № 31. 2. ოქტომბრის მე-18 წლისთავი ტფილისში 3. საბჭოთა ხელოვნება. სეანსები ყოველ 45 წუთში.
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11 სეანსები დღის 12 ს-დან	ხმოვანი სრულმეტრაჟიანი ფილმი კიროვი
„26"-ის კომუნ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი „არშაულა" რეჟისორი დ. რონდელი.

საქ. კომპ. (ბ) ცენ. კომიტ. გამომცემლობა „კომუნისტი"

მიიღება ხელისმოწერა 1936 წლისათვის

ყოველდღიურ გაზეთ „კომუნისტზე"

ყოველთვიურ ჟურნალ „ბოლშევიკზე"

ხელის მოწ. ფასი	1 წლ.	6 თვ.	3 თვ.	1 თვ.
„კომუნისტზე"	30	15	7-50	2-50
„ბოლშევიკზე"	6	3	1-50	-50

ხელის მოწერა ხდება
ყველა საფოსტო განყოფილებაში, „სოიუზპეჩატის" ქალაქის ბიუროში, „სოიუზპეჩატის" ორგანიზატორებთან და დაწესებულებებში ხელის მოწერის რწმუნებულებთან

საქკინო
იღებს განცხადებებს სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციებისაგან 1936 წელს
ხმოვანი კინო-აპარატების დადგმის შესახებ.
განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა ყოველდღე საქკინოში, პლეხანოვის პროსპ. № 164. აგრეთვე საქკინოს ბათომის, სოხუმის და ქუთაისის განყოფილებებში. საქკინო აფრთხილებს სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციებს არ დასდონ ხელშეკრულებები კერძო პირებთან, რომელნიც საქკინოს სახელით გამოდიან, რადგან განცხადებები გახმოვანების შესახებ მხოლოდ ხსენებულ პუნქტებში მიიღება. 464

გაზ. „კომუნისტის" გამომცემლობის
სტამბა
ღებულობს მოწაფეებს
მოწაფეები მიიღება ორივე სქესის 18 წლიდან.
[illegible] ადმინისტრაციაში — კამოს ქ. № 68.

ექიმი ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.
იღებს: დილ. 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.
მისამართი: კამოს ქ. № 72. 3291

მე-35 სრული საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი აუწყებენ საზოგადოებას ამავე სკოლის დირექტორის მოადგილის შალვა მინდელის დის მასწავლებელ
შუშანიკა მინდელი—გვენცაძის
უეცრად გარდაცვალებას. 11590

დამწუხრებული ნიკოლოზ კალანდაძე ბაბალე მაჭავარიანი შვილებით, ვარლამ კალანდაძე ოჯახობით მწუხარებით იუწყებიან მედინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტის ძვირფას
შატუნა ჯიბლაძე—მამალაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 11613

ღრმად დამწუხრებული ოლიმპიადა ერმალოზის ასული წერეთლისა აუწყებს, რომ 10 დეკემბერს ს. საჩხერეში 1 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი მეუღლის
ნიკო ბეჟანის-ძე წერეთლის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11645

მიშა გაბისონია, არტემ ბედია, შალიკო ქურდიანი და შალიკო კაზარია მწუხარებით იუწყებიან საყვარელი და დაუვიწყარი ამხანაგის
შალიკო იასონის-ძე გვეჯკორის
უდროოდ გარდაცვალებას. 11632

სასაფლაოთა მეურნეობის სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი მთავარი ბუხჰალტრის კლასა დავითის-ძე გოგრიჭიშვილის უსაყვარლესი ერთად ერთი შვილის
პატარა ავთანდილის
უდროო გარდაცვალებას. 11635

ტრესტ „საქსანტექმშენის" სამკუთხედი და მუშა-მოსამსახურენი აუწყებენ საზოგადოებას ამავე ტრესტის სტახანოველი ზეინკლის რუბენ მეიშვილის მამის
გრიგოლ მეიშვილის
გარდაცვალებას. 11642

სიდედრი თებრონე, სიმამრი ივანე, ცოლისდები: ლოლა, ბაბუცა, თინა, ცოლისძმა გიგლა ცოლი ქეთოთი გორდაძეები, ქვისლი ილია შვილებით რეზო, შოთა კაკაბაძეები იუწყებიან სიძის
კოსტა პეტრეს-ძე კუპრავას
გარდაცვალებას. 11641

შვილები: ალექსანდრე, ნიკო, გიორგი, ნინო, თამარ, რძლებით, სიძით, შვილიშვილებით იუწყებიან
მართა მჭედლიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ნახ. ს. ქ. მეორე საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის) ვერის სასაფლაოზე. 11648

ტფილისის აეროკლუბის ადგილკომი და მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ა.-კ. ც.-კ. ავიამუშაკების კავშირის რწმუნებულის ამხ. მიხეილ ბალათურიას შვილის
შოთა ბალათურიას
გარდაცვალებას. 11643

მამა ნიკოლოზ მეუღლე ლეილათი, ძმა ოთარ, ბებია მაგი იუწყებიან, რომ 12 დეკემბერს სოფ. სეფიეთში დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ძვირფასი
ლალა (ელენე) ბრიგოლიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 11646

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის მესამე კურსის № 80 ჯგუფის სტუდენტობა, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე ჯგუფის სტუდენტის ილია გოგიტიძის საყვარელი
დედის
გარდაცვალების გამო. 11650

სტ. „კომუნისტი" კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 8572